ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 25 თებერვალი, 2016 №46 (6972) ფასი: 50 თეთრი

23 თებერვლიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
გაბრიელ გარსია მარკესი
 იცხოვრო, რომ მოჰყვე
წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ
ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი




# ხადურს და მღებრიშვილს ხსნიან, ზალკალიანი საგარეო მინისტრი ხდება?



გვ.2



„არანაირი ინფორმაცია ცვლილებებზე არ მაქვს. არ მგონია, ამ შემთხვევაში რამე იგეგმებოდეს. ზოგადად, ცვლილებებს რაც შეეხება, ერთადერთი, რაც არის უცვლელი, არის ის, რომ ყველაფერი არის ცვალებადი. დანარჩენი ყველაფერი იცვლება ქვეყანაში და მინისტრი, პარლამენტი და ვიღაცა უცვლელი ვერ იქნება“





გვ.3

## „რესპუბლიკელები პრემიერის პოსტს მოითხოვენ“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „ქართული ოცნება“ ნაციონალების მძევალია“

„არეულობის გეგმა უკვე დაწერილია“

## კობახიძე კობახიძეების წინააღმდეგ

გვ.7



## ჯონდი ბაღათურია: „რესპუბლიკელები ისე მოექცევიან ივანიშვილს, როგორც ქვანია და სააკაშვილი მოექცნენ შევარდნაძეს“

გვ.3



## ვახტანგ ხმალაძე: „ახალი წესით მოწმის დაკითხვა ნებაყოფლობითია“

გვ.7



ISSN 1987-9385

## კოტე კანდელაკი: „თვითმმართველობები დამოუკიდებლობისკენ მიდიან და ეს არის მთავარი“

გვ.4



## ზურაბ ჯორბენაძე: „ვეკითხები ნინო გვენეტაძეს, რატომ დანიშნეს მოსამართლეებად ჩემი ძმა და ბიძაშვილი?“

გვ.4



# ხადურს და მღებრიშვილს ხსნიან, ზალკალიანი საგარეო მინისტრი ხდება?

შორენა მარსაგიშვილი

**პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა უახლოეს მომავალში შეიძლება მინისტრების გაზაფხული-ზაფხულის ახალი კოლექცია წარმოგვიდგინოს. გავრცელებული ინფორმაციით, გაზაფხულზე მთავრობაში მორიგი „კარუსელი“ დატრიალდება.**

**სახელისუფლებო კულუარებიდან გამოსული ინფორმაციის თანახმად, თანამდებობას დატოვებს შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი. მის პოსტს ანზორ ჩუბინიძე დაიკავებს, რომელიც ამ დროისთვის სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსია.**

ეს არაა პირველი შემთხვევა, როცა ჩუბინიძის კანდიდატურა ამ თანამდებობაზე განიხილება. ამაზე პირველად მაშინ ალაპარაკდნენ, როცა ირაკლი ღარიბაშვილმა პრემიერის პოსტი დაიკავა, შსს კი მინისტრის გარეშე დარჩა. მას შემდეგ ქვეყანამ რამდენიმე შს მინისტრი გამოიცვალა და გამუდმებით ანზორ ჩუბინიძეზე იყო საუბარი. როგორც ამბობენ, ბიძინა ივანიშვილმა ის ვერაფრით დაითანხმა.

რაკი მისმა გვარმა კიდევ ერთხელ გაიჟღერა, შესაძლოა, ის უკვე დაიყოლია „ქართული ოცნების“ მამამ. არჩევნების წინ ივანიშვილს შს მინისტრად ისეთი კაცი სჭირდება, რომელსაც თვალდახუჭული ენდობა, ჩუბინიძე კი წლების მანძილზე მისი დაცვის უფროსი იყო.

ცვლილებებს ელოდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროშიც. მოქმედ მინისტრ მიხეილ ჯანელიძეს პიროვნულად ყველა დადებითად ახასიათებს, მაგრამ მისი კომპეტენცია დიდად არავის აღაფრთოვანებს. ამ თანამდებობაზე სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურა მოიაზრებოდა, მაგრამ გიორგი კვირიკაშვილმა ჯანელიძეს გაუწია რეკომენდაცია. აღსანიშნავია, რომ კვირიკაშვილის საგარეო საქმეთა მინისტრობის ჟამს ჯანელიძე მისი მოადგილე იყო.

ახლა ამ პოსტზე დავით ზალკალიანის კანდიდატურა განიხილება. მას მინისტრის მოადგილის თანამდებობა უკავია.

დავით ზალკალიანმა პირველად მინისტრის მოადგილის პოსტი 2012 წლის არჩევნების შემდეგ დაიკავა, 2014 წელს კი პროტესტის ნიშნად დატოვა და თავისუფალ დემოკრატებს





გაეკიდა, რომლებიც ირაკლი ალასანიას გადაყენების შემდეგ საგარეო კურსის ცვლილებაზე ალაპარაკდნენ.

გასული წლის დამლევს ზალკალიანი, ეტყობა, დარწმუნდა, რომ საგარეო კურსი არ შეიცვალა და კვირიკაშვილის შეთავაზებას დათანხმდა.

უსამსახუროდ არც მიხეილ ჯანელიძე დარჩება. მას ეკონომიკის მინისტრის პოსტზე გაამწესებენ. აღსანიშნავია, რომ მას ამ უწყებაშიც აქვს ნამუშევარი. ვერა ქობალიას მინისტრობის ჟამს ჯანელიძეს მაღალი თანამდებობა ეკავა.

ქართული ეკონომიკის სადარაჯოზე ამ ეტაპზე დიმიტრი ქუმსიშვილია. როგორც ამბობენ, მას ფინანსთა მინისტრად გადაიყვანენ, ნოდარ ხადურს კი გული რომ არ დასწყდეს, საარჩევნო სიაში ჩასვამენ.

არ არის გამორიცხული, რამდენიმე სამინისტრო გააუქმონ. დიასპორების საკითხთა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტროების შესაძლო გაუქმებაზე ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ ალაპარაკდნენ.

როგორც ამბობენ, მთავრობაში სერიოზული ცვლილებები ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის შემდეგ იგეგმებოდა, თუმცა, მაშინ კოალიციაში ამას სერიოზული დაპირისპირება მოჰყვა. ამბობენ, რომ რესპუბლიკელებმა 5 პორტფელი მოითხოვეს, რასაც დანარჩენი პარტიები არ დაეთანხმნენ. მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, სერიოზული ცვლილებები გაზაფხულისთვის გადაიდო. გაზაფხული კი მომავალ კვირაში დადგება.

მოსალოდნელ ცვლილებებს მოუთმენლად ელიან საპარლამენტო უმრავლესობაში. ამასთან ამტკიცებენ, რომ ამაზე საუბარი ჯერ არ დაწყებულა.

დეპუტატი დავით ლორთქიფანიძე ვარაუდობს, რომ ცვლილებები სერიოზული იქნება. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის ამ პროცესში ჩართულობა მნიშვნელოვანია.

– არ ვფიქრობ, რომ ზუსტად ასეთი წყობით მოხდება ცვლილებები, როგორც ინფორმაცია ვრცელდება, მაგრამ ცვლილებები რომ მოხდება, ამაში დარწმუნებული ვარ, – განაცხადა დავით ლორთქიფანიძემ.

ფრაქცია ,,ქართული ოცნება – ეროვნული ფორუმის“ წევრის, ანი მიროტაძის თქმით კი, მთავრობაში შესაძლო ცვლილებების შესახებ გუნდში ამ დრომდე კონსულტაციები არ ყოფილა.

– კვირიკაშვილმა გუნდი ისე ჩაიბარა, რომ არც ერთი ცვლილება არ განუხორციელებია. მან განაცხადა, რომ ამ მინისტრებთან იმუშავებს და გადაწყვეტილებებს მიიღებს. არ გამოვრიცხავ, რომ ჰქონდეს საკუთარი მონახაზი და გადაწყვეტილებაც მიიღოს. როცა ქვეყნისთვის ამდენი შიდა და გარე გამოწვევა არსებობს, ეფექტური საკადრო ცვლილებები ჯანსაღი პროცესია, – ამბობს ანი მიროტაძე.

იგივეს აცხადებს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია.

– გიორგი კვირიკაშვილმა პრემიერის პოსტზე ნდობის გამოცხადებისას თქვა, რომ მომა-



ვალში მთავრობაში ცვლილებებს არ გამორიცხავს. უბრალოდ, მას სჭირდებოდა მეტი დრო გადაწყვეტილების მისაღებად. მომავალში გამორიცხული არაფერია, მაგრამ არც არავითარი კალენდარი არ არსებობს და ამ თემაზე კონსულტაციები არ გამართულა, – აღნიშნავს კომიტეტის თავმჯდომარე.

მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებით, ინფორმაციას არ ფლობენ მინისტრებიც, თუმცა აცხადებენ, რომ სამთავრობო ცვლილებები ჩვეულებრივი ამბავია.

– არანაირი ინფორმაცია ცვლილებებზე არ მაქვს. არ მგონია, ამ შემთხვევაში რამე იგეგმებოდეს. ზოგადად, ცვლილებებს რაც შეეხება, ერთადერთი, რაც არის უცვლელი, არის ის, რომ ყველაფერი არის ცვალებადი. დანარჩენი ყველაფერი იცვლება ქვეყანაში და მინისტრი, პარლამენტი და ვიღაცა უცვლელი ვერ იქნება, – განაცხადა ლტოლვილთა მინისტრმა სოზარ სუბარმა.

იგივე მოსაზრებები აქვს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრ გიგლა აგულაშვილსაც.

– მე არ ვიცი, რა წყაროს ეყრდნობიან ის მედიასაშუალებები, რომლებმაც ეს ინფორმაცია გაავრცელეს. ზოგადად ცვლილებები არის ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული ამბავი. ყველაფერი ცვალებადია, თუმცა მე კონკრეტულად ინფორმირებული არ ვარ ამ საკითხზე, – ამბობს აგულაშვილი.

◆ ◆ ◆

ამ დღეებში კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომა გაიმართება, სადაც ეს საკითხიც იქნება განხილული.

## ნუკრი ქანთარია: „ღუმელი ცხელდება და ბევრს ხელის მოთბობა უნდა“

კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოზე, სხვა საკითხებთან ერთად, გოგი თოფაძისა და რესპუბლიკური პარტიის ლიდერების დაპირისპირებაზეც იმსჯელებენ.

ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუკრი ქანთარიამ პორტალ „კვირას“ პრესკლუბში განაცხადა.

ქანთარია პოლიტსაბჭოზე საკითხის გატანის შემდეგ სიტუაციის დაცხრობას ვარაუდობს.

მისი თქმით, წინასწარ მარჩიელობა ძნელია, თუმცა კოალიციაში არავის აქვს განზრახვა, რომ ვინმე მოიკვეთოს.

– პოლიტსაბჭოს შეკრება კვირას დაიგეგმა. საუბარი იქნება საჭირბოროტო საკითხებზე, კოალიციის პერსპექტივებზე და, ბუნებრივია, შევეხებით გოგი თოფაძისა და რესპუბლიკური პარტიის ლიდერებს შორის მომხდარ ინცინდენტს.

ცუდი იყო, რომ ეს ინცინდენტი პიროვნული შეურაცხყოფის დონეზე გადავიდა, მაგრამ ეს არ იყო პარტიათა შორის დაპირისპირება. კოალიციაში ამაზე საუბარი იქნება და საქმე წავა იქითკენ, რომ სიტუაცია დაცხრეს.

ერთგვარი წინასაარჩევნო ღუმელი უკვე ცხელდება და უკვე ბევრი გამოჩნდა, რომ აქ ხელის მოთბობა უნდა. ალბათ კიდევ ბევრი გამოჩნდება, ვინც გაიარა „ქართულ ოცნებას-



თან“, იყო ჩვენთან, ან ნაწყენი. მოხდება ამ ხალხის თავის მოყრა და წარმოჩენა.

რაც შეეხება კოალიციიდან ვინმეს გასვლას, ეს კერძო აზრებია, წინასწარ მარჩიელობას არ დავიწყებ, მაგრამ არავის აქვს იმის განზრახვა, რომ ვინმე მოიკვეთოს. გეტყვით იმასაც, რომ ჩვენ კოალიცია ვართ და არა ვართ შეფიცულები, ჯვარდაწერილები, თითებგადაჭრილები ერთმანეთზე. ეს არ არის სექტა, ეს არის გარკვეული ინტერესებით შეკავშირებული კოალიცია და ვფიქრობ, ბევრი საერთო მოიძებნება, რის გამოც ჩვენ ერთად ყოფნა უნდა გავაგრძელოთ, – განაცხადა ნუკრი ქანთარიამ.

მედიანიუსი

## ნაციონალური მოძრაობა 6 მარტს მასშტაბურ საპროტესტო აქციას აანონსებს

პარტია ერთიანი ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის დავით ბაქრაძის თქმით, ხელისუფლება ქვეყნის დაბრუნებას უკან, რუსულ წყვდიადში აპირებს.

ყოფილმა მმართველმა პარტიამ, 6 მარტს საპროტესტო აქციის გამართვაც დააანონსა.

**დავით ბაქრაძე:**

– ქართული მხარე მალავდა გაზპრომთან მოლაპარაკებებს და ეს რუსული მხარის მიერ გახდა ცნობილი. ჩვენ გვინდა, მკაფიოდ განვაცხადოთ, რომ გაზპრომი რუსული წყვდიადი, გაყინული და ჩაბნელებული საქართველოა. ხელისუფლება აპირებს ქვეყნის დაბრუნებას უკან, რუსულ წყვდიადში.

ჩვენ, საზოგადოების ყველა იმ წევრთან ერთად, რომელსაც არ სურს ქვეყნის უკან დაბრუნება, ვაანონსებთ სიმბოლურ საპროტესტო აქციას, რომლის ამოცანაც იქნება, რომ გავაგონოთ ჩვენი ხმა საქართველოს ხელისუფლებას და მტკიცედ ვაგრძნობინოთ რუსეთის ხელისუფლებას, რომ საქართველოში გაზპრომის და რუსეთის წყვდიადის ეპოქა დასრულებულია.

ნაციონალური მოძრაობის წევრის სერგო რატიანის თქმით კი, აქცია კანცელარიიდან რუსეთის საელჩომდე ცოცხალი ჯაჭვის სახით 6 მარტს გაიმართება.

ნიუსპრესი





## ეკა ბესელია კოალიციის დაშლას ემხრობა

ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრის, ეკა ბესელიას შეფასებით, კოალიციაში შემავალი პოლიტიკური სუბიექტების არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობის თაობაზე გამოთქმული მოსაზრება, საინტერესოა.

როგორც დეპუტატმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამით საკუთარ შესაძლებლობებზე გადამეტებულ წარმოდგენებს, პასუხი გაეცემა.

– ჩვენ არჩევნებში მონაწილეობას კოალიციურ ფორმატში ვგეგმავთ. ჯერჯერობით მოცემულობა ეს არის, მაგრამ საინტერესოა ფორმულა, როცა ექსპერტები ამბობენ, რომ კოალიციის თითოეულმა სუბიექტმა დამოუკიდებლად სცადოს ბედი და მოიპოვოს ამომრჩევლის ნდობა. ეს გადამეტებული წარმოდგენები საკუთარ შესაძლებლობებზე, მე ვფიქრობ, პასუხგაცემული იქნება. არ ვიცი, მოვლენები როგორ განვითარდება, მაგრამ ზოგადად ვფიქრობ, რომ ესეც საინტერესო სვლაა, – განაცხადა ბესელიამ.

მედიანიუსი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „რესპუბლიკელები პრემიერის პოსტს მოითხოვენ“

შორენა მარსაგიშვილი

ვისი შიშით ვერ იღებს მმართველი გუნდი გადაწყვეტილებებს, რაში გამოიხატება მეოცნებეთა გამორესპუბლიკელება, ვინ უგორებს კოჭს ნაციონალებს, რა გეგმა შემუშავდა არჩევნებისთვის? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე ესაუბრა.




## „არეულობის გეგმა უკვე დაწერილია“





## ნიკოლოზ მჟავანაძე: „ქართული ოცნება“ ნაციონალების მძევალია“

**ნიკოლოზ მჟავანაძე;**

– რაღაც უცნაური ტენდენცია ჩამოყალიბდა საქართველოში, საკმარისია ვინმემ რესპუბლიკური პარტია გააკრიტიკოს, რომ მას ეგრევე კრემლის აგენტის იარლიყს აწებებენ. ასე ხდებოდა სააკაშვილის დროსაც, ოღონდ მაშინ ნაციონალები არ უნდა გაგეკრიტიკებინა. შეიქმნა მითი იმისა, რომ ეს ორი ძალა არის დასავლური ორიენტაციის და მათ ევროპაში ანგარიშს უწევენ.

სამწუხაროა, რომ ეს ზღაპარი „ქართულ ოცნებაშიც“ დაიჯერეს. ზოგიერთები იმაშიც დაარწმუნეს, რომ თუ რესპუბლიკელები კოალიციიდან გავლენ, დასავლეთი საქართველოს იზოლაციაში მოაქცევს. ასე იქცეოდა თავის დროზე შევარდნაძე. გაიძახოდა, მე თუ წავალ, ევროპა და ამერიკა ზურგს გვაქცევსო. იგივე კურსი გააგრძელა სააკაშვილმა. ორივე წავიდა, მაგრამ ქვეყანა იზოლაციაში არ მოქცეულა. რესპუბლიკელებიც თუ წავლენ, არც ამით დაშავდება რამე.

ამ პარტიას თავის თავზე ზედმეტი წარმოდგენა აქვს, მიაჩნიათ, რომ ყველაზე მაგრები არიან. და თუ ასეა, არ უნდათ, რომ დაამტკიცონ თავიანთი სიმაგრე? სხვა თუ არაფერი, ხალხი 3%-იანებს მაინც აღარ დაუძახებს. მართლა ასეთი მაგრები რომ იყვნენ, დიდი ხნის წინ გავიდოდნენ ცალკე, მაგრამ კარგად იციან, დამოუკიდებლად შანსი არა აქვთ. ისინი დამოუკიდებლად ვერასდროს ვერ მოხვდნენ პარლამენტში, ნამდვილი პარაზიტები არიან და რაც ადრე გაემიჯნება მათ კოალიცია, მით უკეთესი იქნება მათთვისაც და ქვეყნისთვისაც.

***– რატომ იქნება უკეთესი მათგან გამიჯვნა, კოალიციაში ბევრი თვლის, რომ რესპუბლიკელები საჭირო ხალხია.***

– ძალიან მიკვირს, როცა ასეთ მოსაზრებებს ვისმენ. რესპუბლიკელები ყველა ძირითად სტრატეგიულ საკითხში „ქართული ოცნების“ წინააღმდეგი არიან. მათ მხარი არ დაუჭირეს უცხოელებზე ქართული მიწების მიყიდვის აკრძალვას. ცოტა ხნის წინ ხელისუფლებამ პარლამენტში ფარული პატრულირების საკითხი შეიტანა, არც ამას დაუჭირეს მხარი. ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე საგარეჯოს ახლად არჩეული მაჟორიტარი იყო, რომლის არჩევასაც ამხელა სკანდალები მოჰყვა. რესპუბლიკელები ხელისუფლების პოზიციის წინააღმდეგ წავიდნენ, როცა მოსმენების გასაღები შს სამინისტროში უნდა დარჩენილიყო.

რამდენი თვის წინ ეკა ბესელიას და მანანა კობახიძის წინააღმდეგ დაიწყო ბინძური კამპანია. მთელი კოალიცია მათ გვერდში დაუდგა, ეს ბერძენიშვილი კიდევ გამოვარდა და თქვა, თუ მართლები არიან, დაამტკიცონო.

***– რომელმა ბერძენიშვილმა?***

– ლევან ბერძენიშვილმა მოითხოვა ეს. გოგი თოფაძეს რომ აუტეხეს ერთი ამბავი, ხიდაშელზე ასეთი რამე რატომ თქვაო, თავად რატომ იკადრეს ასეთი რაღაც. ეგენი არ იყვნენ, ღარიბაშვილს რომ ესხმოდნენ თავს? შანსს არ უშვებდნენ ხელიდან, რომ არ გაელანძღათ.

ხშირად მესმის, კოალიციის ერთიანობა უნდა შენარჩუნდესო. ვერ გავიგე, რაში სჭირდებათ ამათი შენარჩუნება. ისინი ნებისმიერი ძნელბედობის ჟამს ულალატებენ კოალიციას. ამის ნათელი მაგალითი იყო ის, რაც კოალიციიდან ირაკლი ალასანიას წასვლის შემდეგ მოხდა.

***– რას გულისხმობთ?***

– იმ დღეს, როცა თავისუფალი დემოკრატები წავიდნენ, რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ, ხათუნა სამნიძემ განაცხადა, არ გამოვრიცხავ, ჩვენც წავიდეთ კოალიციიდანო. აპირებდნენ კიდევაც წასვლას.

***– რატომ არ წავიდნენ?***

– ამ თემით კარგად ივაჭრეს და წასვლაც გადაიფიქრეს. დარჩენა დაუფასდათ და დამატებით რამდენიმე მინისტრის პორტფელი მიიღეს. თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართავ კოალიციის წევრებს და მათ გონივრული გადაწყვეტილების მიღებას ვთხოვ. არ არის გამორიცხული, მმართველ გუნდში კიდევ რაიმე პრობლემა შეიქმნას, რითიც რესპუბლიკელები კიდევ ივაჭრებენ. მართლა ვერ ვხვდები, რაში სჭირდებათ ხალხი, რომელიც მზადაა, ყოველ წუთას საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღოს.

***– რაკი ვერ ელევიან, ალბათ სჭირდებათ მათი თავი.***

– ალბათ რაღაცის გამო ულირთ მათთან ერთად ერთ გუნდში ყოფნა. თუ არ გაემიჯნებიან, მაშინ ადგნენ და სახელი შეიცვალონ. „ქართული ოცნების“ ნაცვლად კოალიციას „რესპუბლიკელების ოცნება“ დაარქვან. მაინც ამათი ოცნებები ასრულდა ძირითადად.

პარტია „ქართული ოცნების“ ნაწილი რესპუბლიკელებს დაემსგავსა. არადა, ეს ხალხი გულში მჯიღს იცემდა და დღედაღამ პატრიოტიზმზე საუბრობდა. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებაზე ისეთი პოზიციები დააფიქსირეს, რესპუბლიკელებსაც რომ შეშურდებოდა.

***– იქნება მაინც გვითხრათ, ვისზეა საუბარი?***

– გვარებს არ დავასახელებ, მაგრამ მათი ამოცნობა ძნელი არ არის. ამიტომაც ვამბობ, რომ გადაარქვან კოალიციას სახელი, მაინც ლამისაა, ყველა გამორესპუბლიკელდეს.

გოგი თოფაძე თავისი პოზიციის დაფიქსირების გამო ლამის ჯვარზე რომ გააკრეს, იმაზე რატომ არავინ ამოიღო ხმა, ბერძენიშვილებმა მწვანეების და სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ რომ გაილაშქრეს? საუბარი მიდის კოალიციის გამსხვილებაზე. რესპუბლიკელები კი ამბობენ, რომ „ქართულ ოცნებაში“ მწვანეების და სოცდეკების გაერთიანების წინააღმდეგი არიან. იმედი მაქვს, კოალიციაში რაღაცები შეიცვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ არჩევნების მოგება ძალიან გაუჭირდებათ.

რამდენიმე დღის წინ მიხეილ სააკაშვილს ვუსმინე. ძირითადად სისულელეები ილაპარაკა, მაგრამ რაღაცები სიმართლესთან ახლოს იყო. ეგენი მღვრიე წყალში აპირებენ თევზის დაჭერას. „ქართული ოცნების“ გარშემო კი წყალი ამღვრეულია. როცა შენი მოწინააღმდეგე ისეთი გამოცდილი და ვერაგი ძალაა, როგორიც ნაციონალური მოძრაობაა, ცოტა ფრთხილად უნდა მოიქცე. მით უმეტეს, რომ არეულობის გეგმა უკვე დაწერილია.

***– რა გეგმაზე საუბრობთ და ვინ დაწერა ის?***

– გეგმა ნაციონალებმა შეიმუშავეს. ამის განხორციელებაში მათ ხელს მედია და არასამთავრობოები შეუწყობენ. ერთსაც და მეორესაც ყოფილი ხელისუფლება აკონტროლებს.

გეგმა ასეთია, ნაციონალური მოძრაობა გამოაცხადებს, რომ არჩევნები გაყალბდა. ამ მოსაზრებას შედეგით უკმაყოფილო პარტიებიც გაიზიარებენ. დაიწყებენ საპროტესტო მოძრაობას, ხალხსაც გამოიყვანენ ქუჩაში. „ქართული ოცნებისთვის“ ძალიან კრიტიკული მომენტი დადგება. აქვს მმართველ ძალას იმის გარანტია, რომ რესპუბლიკელები ვაჭრობას არ დაიწყებენ? დარწმუნებული ვარ, იტყვიან, თუ არ გინდათ, უკმაყოფილო პარტიებს შევუერთდეთ, მაღალი თანამდებობები მოგვეცითო. ეჭვიც არ მეპარება, რომ პრემიერის პოსტსაც მოითხოვენ.

მართლა მიკვირს, რა საერთო აქვს პარტია „ქართულ ოცნებას“ ამ ანტიეროვნულ ძალასთან. გაბედონ და გაემიჯნონ, ამით არჩევნებზე ბევრ ხმას მიიღებენ. გამოვიდნენ იმ კომპლექსიდან, რომ რესპუბლიკური პარტია არის ხიდი დასავლეთთან. გითხრათ, ეს ყველაფერი რისი ბრალია? ეს ხელისუფლება ნაციონალების მძევალია.

***– აქ ნაციონალები რა შუაში არიან?***

– ისინი დაიწყებენ საუბარს, რომ „ქართული ოცნება“ კოალიციაში არსებულ ერთადერთ ევროპულ ძალასაც გაემიჯნა. ამათ კი ოღონდ პრორუსულობას ნუ დასწამებ და ყველაფერზე წავლენ. მათ შორის იმ ძალასთან ითანამშრომლებენ, რომელიც ხალხს, როგორც თოფაძე იტყოდა, მურვან ყრუზე მეტად სძულს. ჩვენი აზრი თუ არ აინტერესებთ, იმაზე მაინც იზრუნონ, რომ თავიანთი მაგინებლებისგან გათავისუფლდნენ.

საია ამ ხელისუფლების კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებს. ვინ არის ეს საია? რესპუბლიკური პარტიის კომკავშირი, აქ აწრთობენ მომავალ რესპუბლიკელებს. დღეს მაღალ თანამდებობებზე სწორედ საიას წარმომადგენლები სხედან.

არის სოფო ჯაფარიძე, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის დარგში პრემიერის მრჩეველია. მისი მოვალეობაა უცხოეთში ვიზიტებისას ისაუბროს, როგორ არის დაცული საქართველოში ადამიანის უფლებები. ამის მაგივრად ნაციონალებს უგორებს კოჭს და მაგის წყალობითაა, დასავლეთში რომ სჯერათ, რომ აქ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს სდევნიან.

***– იმის თქმა გინდათ, რომ სოფო ჯაფარიძე საზღვარგარეთ ყოფნისას აცხადებს, ნაციონალები იდევნებიანო?***

– იმას არ ვამბობ, რომ სოფო ჯაფარიძე ამტკიცებს ამას. მისი არასათანადო მუშაობის შედეგია ის დასკვნები, რომლებსაც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციები დებენ.

პრემიერის მრჩეველი საერთოდ არ ესწრება ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის სხდომებს. სამაგიეროდ, საია-მაოების თავყრილობებს არ აკლდება.

მისნაირი უმოქმედო ადამიანებისგან აუცილებლად უნდა გაიწმინდოს ხელისუფლება, ისევე, როგორც ჩანერგილებისგან. არჩევნებამდე მათგან თუ ვერ გათავისუფლდებიან, ბევრი უსიამოვნო სიურპრიზი ელოდებათ.

***– რა უსიამოვნო სიურპრიზებია მათგან მოსალოდნელი?***

– ნაციონალებს ბევრი კომპრომატი აქვთ და მათ გამოაქვეყნებენ. წინა კვირაში ნარმანიასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ასეთი მასალა. მერიიდან ეს ინფორმაცია ვინ გამოიტანა? რა თქმა უნდა, ნაციონალების ჩანერგილმა ხალხმა. ასეთი რამეები კიდევ მოხდება, სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურებში არაკეთილსინდისიერებიც მრავლად მუშაობენ. თანაც რა გარანტია გვაქვს, რომ ამ დანაშაულებს ჩანერგილები შეგნებულად არ ჩაიდენენ.

# ჯონდი ბაღათურია: „რესპუბლიკელები ისე მოექცევიან ივანიშვილს, როგორც ქვანია და სააკაშვილი მოექცნენ შევარდნაძეს“

ნონა ცაბაძე

ქვეყანაში განვითარებულ ბოლო პერიოდის პროცესებსა და მმართველ გუნდში მიმდინარე ბატალიებზე „ახალ თაობას“ ქართული დასის ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრება.

***– „ქართული ოცნების“ შიგნით არსებული დაძაბულობა პიკს აღწევს. მხოლოდ თოფაძე არ აღმოჩნდა ის, ვინც რესპუბლიკელებს უპირისპირდება. რა პროცესებთან გვაქვს საქმე?***

– რესპუბლიკელებს უპირისპირდება მთელი ქართული საზოგადოება და ამ ხალხის პოლიტიკაში ყოფნა და, მით უმეტეს, წამყვან პოზიციებზე, არის არაადეკვატური.

***– რატომ, რა შეიცვალა? თავიდან ხომ იყო ეს მოცემულობა და ყველა თანახმა იყო ამაზე?***

– მე არ გეთანხმებით. პარლამენტის თავმჯდომარე ხალხმა უნდა აირჩიოს. თუ ხალხი არ გირჩევს, მაშინ შენი თანამდებობა უკანონო და უსამართლოა. ვინ იყო თანახმა?! თქვენ თუ გულისხმობთ თანხმობას შიგნით გუნდში, კი, ამაში გეთანხმებით, ჩვენ არ მოგვისმენია, კოალიციის შიგნიდან ვინმეს გაეპროტესტებინოს ის, რომ პარლამენტის თავმჯდომარედ ირჩეოდა ადამიანი, რომელსაც ხალხი მხარს არ უჭერდა. ხალხს ეგონა, რომ ხმას აძლევდა ბიძინა ივანიშვილს და ხელში შეაჩეჩეს ხიდაშელი და უსუფაშვილი.

***– ითქვა, რომ რესპუბლიკელების საწინააღმდეგო კამპანია დაუკვეთა ბიძინა ივანიშვილმა. იზიარებთ ამ მოსაზრებას?***

– მე ეჭვი მეპარება, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის დაკვეთილი იყოს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილს ასეთი სვლები არ სჭირდება. მას თავისუფლად შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება და ჩამოიშოროს ისინი, თუკი ამის სურვილი აქვს. პირიქით, მე შემაშფოთებელი და სამწუხარო სიტყვები მოვისმინე ბიძინა ივანიშვილისგან.

***– რას გულისხმობთ?***

– როდესაც მან თქვა, რომ უსუფაშვილი მასწავლებლად მიაჩნია და ბევრ რამეს სწავლობს მისგან. უსუ-



ფაშვილს არ აქვს ნდობა საზოგადოებაში და არც პოლიტიკური კლასი აქვს.

***– თუმცა სწორედ ამ უკანასკნელის გამო აქვენ.***

– პოლიტიკური კლასი არ ჰქვია ტყუილების ლაპარაკს და მლიქვნელობას. პირში რომ უცინი ადამიანს და სინამდვილეში ზურგს უკან სამარეს უთხრი, ეს არ არის პოლიტიკა და პოლიტიკური კლასი.

ჯონდი ბაღათურია ამბობს, რომ თოფაძესთან დაპირისპირება ხიდაშელის მიერ იყო პროვოცირებული. ხიდაშელმა დამამცირებლად მოიხსენია გოგი თოფაძე, თუმცა სხვებმაც დაიწყეს ხმაური რესპუბლიკელების წინააღმდეგ.

***– არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს გულწრფელი ხმაურია და უფრო უკავშირდება მომავალ საპარლამენტო სიას, – აცხადებს პოლიტიკოსი.***

მისი აზრით, რესპუბლიკელები ვერ ახერხებენ სწორ თვითშეფასებას და იმაზე გაცილებით მეტს ითხოვენ, ვიდრე მათ ეკუთვნის.

– თუმცა ზოგჯერ მიზანს აღწევენ და მათი მოთხოვნები მართლდება. ნულპროცენტიანი პარტია ქვეყნის სათავეში მოდის, ეს მათ აძლევს დამატებით სტიმულს, რომ იქნებ კიდევ გააბრიყვონ საზოგადოება და კიდევ ერთხელ მიიღონ ქვეყნის მართვის უფლება, – ამბობს ჯონდი ბაღათურია.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# კოტე კანდელაკი: „თვითმმართველობები დამოუკიდებლობისკენ მიდიან და ეს არის მთავარი“



იმის გამო, რომ არჩევნები ზოგადად ძვირი სიამოვნებაა, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საპარლამენტო არჩევნები ერთად უნდა ჩატარდეს.

2014 წელს არჩეული თვითმმართველობები მოღვაწეობას 2017 წელს დაასრულებენ, ახალი არჩევნები სწორედ მაშინ ჩატარდება და უკვე 2020 წელს, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და პარლამენტს ერთად ავირჩევთ.

რა მდგომარეობაა დღეს ადგილობრივ თვითმმართველობებში და რა პრობლემებს აწყდებიან რეგიონებში, ამ თემებზე „სამოქალაქო კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ ხელმძღვანელი, კოტე კანდელაკი გვესაუბრება.

***– ბატონო კოტე, რა მდგომარეობაა დღეს ადგილობრივ თვითმმართველობებში? როგორ გაამართლა გამგებლებისა და მერების არჩევის პრინციპმა.***

– გააჩნია რას გულისხმობთ. მთლიანობაში, ვფიქრობ, რომ გაამართლა.

***– მაგალითად, რამდენად გაიზარდა მათი დამოუკიდებლობა?***

– ეს იყო მთავარი სიახლე და შეიძლება ითქვას, მათი დამოუკიდებლობის კუთხით, ეს წინგადადგმული ნაბიჯია. ეს არის ერთ-ერთი, თუ ერთადერთი არა, მთავარი პლუსი იმისა, რასაც პირდაპირი არჩევა ჰქვია და იმედი მაქვს, ეს დამოუკიდებლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

***– სხვათა შორის, გუბერნიები წუწუნებენ, რომ არჩეული მერები თუ გამგებლები მათ ანგარიშს საერთოდ არ უწევენ და არაფერს ეკითხებიან.***

– მერე, ეგ კარგია.

***– ეს როგორ გავიგოთ?***

– წინა ხელისუფლების პირობებში, მაშინ, სანამ გამგებლები და მერები დანიშვნითი იყო, რეალურად რეგიონებს გუბერნატორები განაგებდნენ, პატარა მეფეებივით იყვნენ. ახლა კი, თუ გამგებელი დამოუკიდებელია და ინდივიდუალურად უდგება საკითხის გადაწყვეტას, ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

თვითმმართველობები დამოუკიდებლობისკენ მიდიან და ეს არის მთავარი. მე როგორც ვიცი, ახლაც ხდება გუბერნიების ჩარევა გარკვეულ რეგიონებში, დღის წესრიგების შედგენა, საკრებულოს სხდომების დაგეგმვა და ა.შ. მაგრამ იმედია, მომავალში ესეც აღარ იქნება და გუბერნია თავის ფუნქციას მიხედავს და თვითმმართველობები თავისას.

***– ბატონო კოტე, რამდენად არის რეგიონებში კვალიფიციური კადრების პრობლემა?***

– რეალურად რომ ვიმსჯელოთ, კვალიფიციური კადრების პრობლემა არა მარტო რეგიონებში, არამედ დედაქალაქშიც არის. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს.

თბილისში ამის მიზეზი დაბალი ანაზღაურებაა, კვალიფიციური კადრი კერძო სექტორში მიდის მაღალ ანაზღაურებაზე. რაც შეეხება რეგიონებს, იქ გამოცდილება, განათლება, ამ მიმართულებით უზარმაზარი სამუშაოა ჩასატარებელი.

***– ოპოზიციური პარტიები ხმამაღლა საუბრობენ, რომ ხელისუფლება აქტიურად იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს. რამდენად რეალურია მათი ბრალდებები?***

– ადმინისტრაციული რესურსი წინა არჩევნების დროს სრულად იყო გამოყენებული, ახლა კი ეს შედარებით შემცირებულია.

არ ვამბობ, რომ აღარ არსებობს, მაგრამ რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ცდუნება იქნება და ცდუნება ყველას აქვს. ეს არ ხდება მხოლოდ საქართველოში, ეს ხდება ევროპის ქვეყნებშიც და ყველა ცდილობს, რამდენიმე პროცენტით წინ წაიგდოს საქმე და ეს არის ფაქტი.

მცდელობები აუცილებლად იქნება, თუმცა კიდევ ვიმეორებ, რომ წინა წლებთან შედარებით, ეს მიმართულება ძალიან შემცირებულია. იქნება რაღაც პროცენტი, მაგრამ არა იმ მასშტაბებით, რომ არჩევნებზე გავლენა მოახდინოს.

# ზურაბ ჯორბენაძე: „ვეკითხები ნინო გვენეტაძეს, რატომ დანიშნეს მოსამართლეებად ჩემი ძმა და ბიძაშვილი?“

გულიკო ბალაძე

იუსტიციის საბჭოსა და დღევანდელი სასამართლო კორპუსის მდგომარეობას ადვოკატი ზურაბ ჯორბენაძე საგანგაშოს უწოდებს.

– სასამართლო კორპუსის მდგომარეობა აქამდე ძალიან ამაზრზენი იყო, ახლა უკვე საგანგაშოა, – აცხადებს ზურაბ ჯორბენაძე.

***– რატომ არის დღევანდელი სასამართლო კორპუსის მდგომარეობა საგანგაშო?***

– სასამართლო სისტემაში სიტუაცია ძალიან რთული რომ იყო, სამი წლის წინ განვაცხადე. ამის გამო ყველა მებრძოდა, ყველა ჩემს წინააღმდეგ განეწყო და სასამართლო სისტემას ყველა იცავდა. ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ოდიოზურ პიროვნებას, მურუსიძეს ახალი ხელისუფლება ხელს დააფარებდა და იუსტიციის საბჭოს მდივნად დანიშნავდა.

***– დანიშნა?***

– დანიშვნაა, რადგან სადღაც ხელისუფლების მაღალ ეშელონებში ვიღაცას აწყობს მურუსიძისნაირი მოსამართლედ.

***– ვის აწყობს მურუსიძე მოსამართლედ?***

– ის ვიღაც მაშინ დავით საგანელიძე იყო.

***– დავით საგანელიძეს რაში აწყობდა მურუსიძის დანიშვნა?***

– დავით საგანელიძემ მურუსიძე დააზღვია, რომ ის დარჩენილიყო იუსტიციის საბჭოს მდივნად. სანაცვლოდ მიიღო გარანტია, რომ მურუსიძე 2016 წლის არჩევნებს გააპრავებდა, როგორც სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული პალატის მოსამართლე.

***– რა იცით, რომ არჩევნები ყალბდება?***

– ყველა მონაცემი ამისკენ მიდის.

***– ეს ვარაუდებია.***

– არ არის ვარაუდები. იუსტიციის საბჭო, პრაქტიკულად, დღეს სასაცილო მდგომარეობაშია. სასამართლო რეფორმა რომ დააანონსეს, რეფორმის პირველი და მეორე ტალღა დაარქვეს თეა წულუკიანმა და ნინო გვენეტაძემ. ამ ტალღებს მე ფეხდაფეხ მივყვებოდი. მურუსიძემ იუსტიციის საბჭო მამალი ნაციონალებით დააკომპლექტა, ანუ იმ 8 მოსამართლით, რომლებმაც მურუსიძეს დაუჭირა მხარი.

***– მურუსიძემ დააკომპლექტა?***

– იუსტიციის საბჭო ახალ ხელისუფლებას ამოფარებულმა მურუსიძემ დააკომპლექტა.



**მურუსიძემ იუსტიციის საბჭო მამალი ნაციონალებით დააკომპლექტა**

***– მურუსიძე ყოვლისშემძლე ყოფილა.***

– ნამდვილად. ყველა მათგანი მურუსიძესთანაა დაკავშირებული. ისინი მურუსიძის მეგობრები არიან. მურუსიძის ხელქვეითებად დაინიშნნენ და იუსტიციის იმ საბჭოს გარანტიას წარმოადგენენ. მურუსიძე მათ სამუდამოდ დანიშნავს მოსამართლეებად. მურუსიძეც უვადოდ დაინიშნა მოსამართლედ. რეფორმის პირველი ტალღის დროს მოსამართლეები სამი წლით გამოსაცდელი ვადით უნდა დანიშნულიყვნენ. იყო ერთი ამბავი და გადაწყვიტეს, მოსამართლეები გამოსაცდელი ვადით აღარ დანიშნონ.

სასამართლო რეფორმის მეორე ტალღა ითვალისწინებდა სასამართლოს თავმჯდომარეებისა და ოდიოზური მოსამართლეების გაცხრილვას. სინამდვილეში ყველა სასამართლოს თავმჯდომარე დარჩა. ოდიოზური მოსამართლეებიც გამოსაცდელი ვადით აღარ დაინიშნენ. შესაბამისი მუხლი კანონიდან ამოიღეს და ისინი სამუდამოდ დატოვეს მოსამართლეებად. კანონში ჩაწერეს, რომ ის მოსამართლეები, რომლებსაც 10-წლიანი გამოსაცდელი ვადა გავლილი ექნება, სამწლიანი გამოსაცდელი ვადით აღარ დაინიშნებიან. გამოდის, ყველა ძველი ვიგინდარა ისე ინიშნება უვადო მოსამართლედ, რომ სამი წელი გამოსაცდელი ვადაც არ აქვს.

***– ალბათ, ახვლედიანით დაიწყეს სასამართლოს თავმჯდომარეების გათავისუფლება.***

– არა, ჩვენ აბსოლუტურად სხვა რამ მივიღეთ. ნაცმოძრაობის დროს სასამართლო სისტემა ახორციელებდა რეჟიმს. მიშას ხუშტურით, ნულოვანი ტოლერანტობა სასამართლო სისტემამ განახორციელა ორი სხვადასხვა კლანის მეშვეობით. ეს ორი სხვადასხვა კლანი ადეიშვილისაგან მომდინარეობს. ორივე კლანი თავის დროზე ადეიშვილ-კუბლაშვილის მიერაა დანიშნული. მურუსიძე და ძმანი მისნი ადეიშვილ-კუბლაშვილის დანიშნულია და მათ ემსახურებოდნენ.

***– მეორე კლანი რომელია?***

– მამუკა ახვლედიანიც ადეიშვილ-კუბლაშვილის მიერაა დანიშნული და ისინიც იმ რეჟიმს ემსახურებოდნენ.

***– მამუკა ახვლედიანს თავის კლანი აქვს?***

– ახლა მამუკა ახვლედიანმა გადადგა ძალიან ადამიანური, ძალიან ღირსეული ნაბიჯი.

***– რა თვალსაზრისით?***

– მეგონა მამუკა ახვლედიანიც ისეთივეა, როგორიც მურუსიძე და ძმანი მისნი არიან, მაგრამ შევცდი. ახვლედიანი ღირსეული ადამიანი აღმოჩნდა.

***– მას შეცდომები არ აქვს?***

– რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობისას ახვლედიანიც ისევე ემსახურებოდა ნაცმოძრაობას, როგორც მურუსიძე და ძმანი მისნი, მაგრამ ახვლედიანმა გააცნობიერა ყველაფერი და ხმამაღლა განაცხადა რიგ შეცდომებზე, რაც იუსტიციის საბჭოში ხდება. მან პირდაპირ თქვა, რომ იუსტიციის საბჭოს წევრებს ნიშნავდნენ პირადი სიმპათიის ნიშნით.

***– მაგალითად, ვინ დანიშნეს პირადი სიმპათიის ნიშნით?***

– პირადი სიმპათიის ნიშნით დანიშნულია თვითონ ლევან მურუსიძე. გუშინ ნინო გვენეტაძეს განცხადებით მივმართე, დავასახელე ის ფაქტები, ვინ რა გარემოების გამო მოხვდა მოსამართლედ.

***– კერძოდ?***

– ლევან მურუსიძე ჩემი ძმის თანაშემწე იყო და ჩემმა ძმამ უშუამდგომლა, ადეიშვილ-კუბლაშვილთან გარიგდნენ, რომ მოსამართლეობის დროს შეასრულებდა ყველა სიბინძურეს. ამიტომ მურუსიძემ ხელი მოაწერა სულხან მოლაშვილის აბსოლუტურად უკანონო განაჩენს, რაზეც სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ ის გასათავისუფლებელი კი არა, დასაჭერია, თანამდებობრივი დანაშაული აქვს ჩადენილიო.

მურუსიძემ ხელი მოაწერა გირგვლიანის მკვლელების განაჩენს და ისინი გაათავისუფლა. ესეც უდიდესი სირცხვილი იყო. ამის უკან დგას ის, რომ მურუსიძე კორუფციული გარიგებით დაინიშნა.

***– ქრთამი მისცა?***

– მხოლოდ ქრთამის აღება არ არის კორუფცია. კორუფცია თანამდებობის ბოროტად გამოყენებაცაა. მურუსიძე თანამდებობის ბოროტად გამოყენებით დაინიშნა.

მამუკა ახვლედიანის თანამდებობიდან გადაყენება კი სასამართლო სისტემის იმ წუმპესა და ნაგავში დარჩენას ნიშნავს, რაშიც იყო. ახვლედიანმა გაბედა და სიმართლე თქვა, რომ მოსამართლეები პირადი სიმპათიის მიხედვით ინიშნებიან და ამას ახორციელებს მურუსიძეო.

***– ვისი სიმპათიის მიხედვით უნდა დაინიშნოს მოსამართლე?***

– მოსამართლე უნდა დაინიშნოს მისი ცოდნის, ღირსებისა და ობიექტურობის მიხედვით. საქართველოში 2000 გამოცდაჩაბარებული მოსამართლეობის კანდიდატია. არავითარი კრიტერიუმები არ არსებობს. არავინ იცის, იუსტიციის საბჭო ვის რის გამო დაუჭერს მხარს.

***– ნინო გვენეტაძესთან რა კითხვები გაქვთ?***

– ნინო გვენეტაძემ, როგორც იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარემ, საზოგადოებას უნდა უპასუხოს შემდეგ შეკითხვებზე: ვინაიდან მან ვერ უზრუნველყო, მურუსიძე არ დანიშნულიყო (მიუხედავად იმისა, მას მხარი არ დაუჭერია) მოსამართლედ, იღებს თუ არა პასუხისმგებლობას სულხან მოლაშვილისა და გირგვლიანის იმ განაჩენებზე, რომელიც მურუსიძემ დააყენა? არის თუ არა გვენეტაძე მომავალში მურუსიძის ობიექტურობის გარანტი? იღებს თუ არა გვენეტაძე პასუხისმგებლობას იმაზე, რომ იუსტიციის საბჭოს წევრები მურუსიძეს შერჩეული ჰყავს პირადი მეგობრობისა და პირადი სიმპათიის მიხედვით?

იუსტიციის საბჭოს 8 მოსამართლე წევრი პირადად მურუსიძის მეგობარია და მისი ზეგავლენის ქვეშაა. იღებს თუ არა გვენეტაძე პასუხისმგებლობას ამ წევრების მიმართ, რადგან ისინი ნიშნავენ მოსამართლეებს. გვენეტაძემ




არც ერთ მოსამართლეს მხარი რომ არ დაუჭიროს, ყველა მოსამართლე მისი თანხმობის გარეშე დაინიშნება.

8 მოსამართლე წევრი პლუს იუსტიციის საბჭოს მდივანი მურუსიძე, ნიშნავს უმრავლესობას. ნებისმიერს დანიშნავენ. იღებს თუ არა პასუხისმგებლობას გვენეტაძე იმ მოსამართლეების საქმიანობაზე, რომელიც მურუსიძემ სააპელაციო სასამართლოში კონკურსგარეშე დანიშნა?

***– კონკურსგარეშე როგორ დანიშნა?***

– ორი თვის წინ, სანამ ხელახლა დანიშნავდნენ, მურუსიძემ სკანდალური ნაბიჯი გადადგა – 7 მოსამართლე სხვადასხვა სასამართლოებიდან გადმოიყვანა იგივე ვადით, რა ვადითაც ისინი დანიშნული იყვნენ იქ აპელაციის მოსამართლეებად, თუმცა, ამას დანიშვნა არ დარქმევია. ეს იყო უპრეცედენტო რამ.

***– მურუსიძეს უფლება ჰქონდა ერთპიროვნულად გადაეწყვიტა მოსამართლეების სააპელაციო სასამართლოში გადმოყვანის საკითხი?***

– ერთპიროვნულად არ გადაუწყვეტია, მურუსიძეს იუსტიციის საბჭომ დაუჭირა მხარი მოსამართლეების გადმოყვანაში, მაგრამ ინიციატორი მურუსიძე იყო.

***– იქნებ კარგი კადრებია?***

– პირიქით, ისინი ყველაზე ოდიოზური მოსამართლეები იყვნენ ნაცმოძრაობის დროს.

***– მაგალითად?***

– ჩემია და ძმანი მისნი.

***– გირგვლიანის საქმის მოსამართლე საქალაქო სასამართლოში ჩემია?***

– დიახ. მურუსიძემ ჩემია და ასეთი ხალხი სააპელაციო სასამართლოში გადმოიყვანა. მაინტერესებს, ამ ფაქტზე იღებს თუ არა პასუხისმგებლობას?

კიდევ ორი საკითხი მაქვს გასარკვევი – დაინიშნა თუ არა მოსამართლედ ჯემალ კოპალიანი? თუ ჯემალ კოპალიანი მოსამართლედ დაინიშნა, იღებს თუ არა პასუხისმგებლობას ნინო გვენეტაძე, რომ „მუხროვანის ბუნტის“ საქმეზე განაჩენის დამყენებელი მოსამართლე შემდგომში ობიექტური იქნება?

იღებს თუ არა პასუხისმგებლობას ნინო გვენეტაძე იუსტიციის საბჭოს შემდგომ მუშაობაზე, როგორც იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე იმდენად, რამდენადაც, მომავალში შესაძლებელია იუსტიციის საბჭომ უფრო მეტი სისულელეები ჩაიდინოს. ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობა მხოლოდ იუსტიციის საბჭოს მდივანს, მურუსიძეს კი არ ეკისრება, არამედ ნინო გვენეტაძესაც, როგორც იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარეს.

გაგრძელება მე-6 გვერდზე

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# „ამცახარა“ სავიზო რეჟიმის შემოღებას აპროტესტებს

მარიამ მჭედლიშვილი

**აფხაზეთის ოკუპირებულ რეჟიმი აფხაზი საზოგადოების იმედგაცრუების დაძლევას ცდილობს.**

**აფხაზეთში საზოგადოება უკმაყოფილოა სოციალური და უფლებრივი მდგომარეობით. ხალხის ნაწილს აღელვებს ის, რომ ვერ ჩადის ევროპაში. დიდი ხანია გამოითქმის პრეტენზიები რუსეთის მიმართაც. რუსეთი ბოლომდე არ ასრულებს აფხაზეთისათვის მიცემულ დაპირებებს და იმ ვალდებულებებს, რომელიც სტრატეგიული შეთანხმებით ივალდებულა.**

მოსკოვიდან ჩამოსულმა საოკუპაციო რეჟიმის მეთაურმა პრეზიდენტმა რაულ ხაჯიმბამ თანამემამულეები დაარწმუნა, რომ სოხუმს მოსკოვთან ყველაფერი სანიმუშოდ აქვს. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებითაც მოუხდა განმარტებები. ამისათვის ხაჯიმბამ მოიშველია თავისი გადამდგარი ოპონენტის, ალექსანდრე ანქვაბის სიტყვები – „ვერ მოესწრებით“. თუმცა, აღიარა, რომ მოსკოვში ინსულტით ჩავიდა.

პრეზიდენტისგან განსხვავებით, საზოგადოება წინსვლას ვერ გრძნობს. მათ შორის, სოხუმი-მოსკოვის ურთიერთობებში. ამაზე თავისი პოზიცია აქვს ხაჯიმბასთან დაპირისპირებულ პარტია ამცახარას.

ამცახარას თავმჯდომარე ალხას კვიცინია აცხადებს, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობა საზოგადოებას თავს ახვევს აზრს, თითქოს რუსულ-აფხაზური ურთიერთობები ახალ დონეზე ავიდა.

– ამ ურთიერთობების დონეს საზოგადოებაში რეალურად ვერ ვგრძნობთ. ამას აქვს სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ჩვენმა ხელმძღვანელობამ ვერაფრით ვერ მოილაპარაკა სხვადასხვა საკითხზე, რომელიც ეხება ჩვენს და რუსეთის ინტერესებს, – აღნიშნავს ალხას კვიცინია.

მისი თქმით, ხალხისათვის ტყუილი დაპირებების მიცემის ნაცვლად, აფხაზეთის ხელმძღვანელებს უნდა შეეძლოთ რუსეთთან მოლაპარაკება ურთიერთსასარგებლო პირობებზე.

აფხაზეთში არ არიან აღფრთოვანებული იმ სანქციებითაც, რომელიც რუსეთის დავალებით აფხაზეთმა თურქეთს გამოუცხადა. შეზღუდვები თურქეთის მოქალაქე ბიზნესმენებსაც შეეხო.

ამის გამო რაულ ხაჯიმბას მოუხდა თავის მართლება და იმის მტკიცება, რომ თურქეთიდან ჩამოსულ თანამემამულეებს, რომლებსაც აფხაზეთში მაღაზიები აქვთ გახსნილი, საქმიანობას არავინ აუკრძალავს.

აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი ირწმუნება, რომ აფხაზეთს არანაირ ზიანს არ მოუტანს სავიზო რეჟიმის გამკაცრება.

კანონის თანახმად, 1 აპრილიდან აფხაზეთში უვიზოდ შემოსვლა შეეძლებათ მარტო იმ ქვეყნებისა თუ წარმონაქმნების მოქალაქეებს, რომლებმაც აღიარეს აფხაზეთის დამოუკიდებლობა.

ასეთი სახელმწიფოები, რუსეთის გარდა, ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ არიან. ტუვალუმ და ვანუატუმ თავისი აღიარება გააბათილეს.

აფხაზეთს თავისუფალი მიმოსვლა აქვს საქართველოს კიდევ ერთ ოკუპირებულ ტერიტორიასთან – ცხინვალის რეგიონთან. მზადდება შეთანხმებები, რომ უვიზო მიმოსვლა დამყარდეს დნესტრისპირეთთან და მთიან ყარაბაღთან.

# ჯონდი ბაღათურია: „რესპუბლიკელები ისე მოექცევიან ივანიშვილს, როგორც ჟვანია და სააკაშვილი მოექცნენ შევარდნაძეს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***– მიაღწევს „ოცნება“ ამ სახით არჩევნებამდე თუ ბევრი სუბიექტი გამოაკლდება მის რიგებს?***

– დღეს სახეზე არის დაშლილი პოლიტიკური ძალა, რომელსაც აქვს პრეტენზია, მართოს ქვეყანა. თუ ესენი ერთობას შეინარჩუნებენ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ მოხვდნენ პარლამენტში, მერე კი დაიშლებიან. ქვეყანაში მივიღებთ პოლიტიკურ კრიზისს. შესაბამისად, აქ უკვე არჩევანი ივანიშვილზეა.

***– რას გულისხმობთ?***

– ივანიშვილს შეუძლია „ქართული ოცნების“ შიგნით ურთიერთობების დალაგება, საკითხების გადაწყვეტა. ივანიშვილმა უნდა გააკეთოს არჩევანი საზოგადოებისთვის მისაღებ ფიგურებს და რესპუბლიკელებს შორის.

***– ყველა ელოდება პოლიტსაბჭოს სხდომას. საუბარია, რომ ის ხმაურიანი იქნება.***

– ხმაური იქნება შიგნით, ერთმანეთს შეაგულიანებენ, რომ არჩევნებამდე მოვითმინოთ, თორემ ყველანი დავრჩებით გარეთ. პოლიტსაბჭოდან გამოსულები კი ღიმილიანი სახეებით გვეტყვიან, არაფერი არ ხდება, ყველაფერი რიგზეაო. ეს ბოლო პერიოდი მაგონებს შევარდნაძის მმართველობის ბოლო ხანას.

***– კონკრეტულად რა გაგონებთ შევარდნაძის ხანას?***

– როცა გუნდის შიგნით იყო წინააღმდეგობა. სააკაშვილი-ჟვანიას გუნდის მიმართ იყო ცუდი განწყობები როგორც საზოგადოებაში, ისე ხელისუფლების შიგნით. შევარდნაძემ თითი არ გაანძრია და ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჟვანია და სააკაშვილი გაეძლიერებინა. მერე როგორც მოექცნენ ისინი შევარდნაძეს, ეს ყველამ ვნახეთ.

***– ამ პარალელს რასთან დაკავშირებით ავლებთ?***

– ძალიან ჰგავს შევარდნაძის დამოკიდებულება ჟვანიასა და სააკაშვილისადმი ივანიშვილის და რესპუბლიკელების დამოკიდებულებას.

***– ივანიშვილი რესპუბლიკელებს მიზანმიმართულად აძლიერებს?***

– ფაქტია, რომ პარტია, რომლის მიმართ საზოგადოებაში არის ნეგატიური განწყობა, ივანიშვილმა მოიყვანა ქვეყნის სათავეში! რესპუბლიკელები კი თვალს არ დაახამხამებენ, ისე მოექცევიან ივანიშვილს, როგორც ჟვანია და სააკაშვილი მოექცნენ შევარდნაძეს.

***– ანუ არის იმის შანსი, რომ 2016-ში მივიღოთ რესპუბლიკელების მთავრობა?***

– რესპუბლიკელებს თუკი ვინმე მისცემს ამის შანსს, რასაკვირველია, ისინი შეეცდებიან ძალაუფლების ხელში ჩაგდებას. შევარდნაძესაც ეგონა, რომ ჟვანია და სააკაშვილი მის გარეშე არაფერს წარმოადგენდნენ ქართულ პოლიტიკაში.

***– გაიმეორებს ივანიშვილი შევარდნაძის ამ შეცდომას?***

– არ ვიცი. ფაქტია, რომ ეს მისთვის კარგი მაგალითია. ივანიშვილი საკმაოდ ჭკვიანია და არა მგონია, თუ მისი სურვილი იქნება, არ ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ამ ყველაფერს ნათლად ხედავდეს.

***– სერიოზულად გადაიხედება „ოცნების“ საარჩევნო სია?***

– სია სავარაუდოდ გადაიხედება, თუმცა არსებითი ცვლილებებია საჭირო. საჭიროა გამოცდილი ადამიანები, რომლებსაც აქვთ უნარი საზოგადოებასთან კომუნიკაციის, პოლიტიკურ ოპოზიციასთან კომუნიკაციის, განსხვავებული აზრის მოსმენის, გაანალიზების და მერე სწორი გადაწყვეტილებების მიღების.

დღეს ასეთ გუნდს ვერ ვხედავთ. ასეთ ვითარებაში საზოგადოების დიდი ნაწილი არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს, შესაბამისად, ხელისუფლების ლეგიტიმურობას დიდი კითხვის ნიშანი ექნება. ეს ყველაფერი კი კარგი ნიადაგი იქნება ახალი რევოლუციისა და საპროტესტო გამოსვლებისთვის. ზოგიერთი პოლიტიკური ძალა დღეს სწორედ ამისთვის ემზადება.

***– რისთვის?***

– არჩევნების შემდგომი პერიოდისთვის. დაიწყება განცხადებები, რომ არჩევნები გაყალბდა, რომ ხალხი არ მივიდა არჩევნებზე და ეს რა ნიადაგსაც მოამზადებს, ჩემზე უკეთ იცით.

# „ჯანმრთელობის სახლში“ მსოფლიოში წამყვანი რეპროდუქტოლოგი ჯოშუა დორი ინ ვიტრო განაყოფიერებას აკეთებს

## როგორ უნდა მოხვდნენ უშვილო წყვილები ჯოშუა დორისთან ვიზიტზე



ჯოშუა დორი და სოფო კვალიაშვილი

უნაყოფობა მთელი მსოფლიოს პრობლემაა. მათ შორისაა საქართველოც, სადაც, ბოლო დროის მონაცემებით, 30.000-მდე წყვილი უშედეგოდ ელოდება ნანატრი დროის დადგომას, როდესაც მათაც ეყოლებათ სახლში პატარა.

21-ე საუკუნეში ამ პრობლემის გადაწყვეტა „ინ ვიტრო“ განაყოფიერებით უკვე შესაძლებელია. „ჯანმრთელობის სახლში“ უკვე რამდენიმე წელია არსებობს „ინ ვიტრო“ განაყოფიერების განყოფილება, რომლის პარტნიორია ისრაელში წამყვანი კლინიკა SHEBA-ს რეპროდუქციური ჯანმრთელობისა და ხელოვნური განაყოფიერების განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ჯოშუა დორი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ემბრიოლოგებთან ერთად.

ეს საშუალებას იძლევა, უშვილო წყვილებმა ქვეყნიდან გაუსვლელად და ზედმეტი ხარჯების გარეშე მსოფლიოში აღიარებული რეპროდუქტოლოგისაგან მიიღონ კონსულტაცია და საჭირო მკურნალობა.

პროფესორი ჯოშუა დორი ცნობილი გინეკოლოგისა და „ჯანმრთელობის სახლის“ ხელმძღვანელ ამირან ქორიძის მოწვევით საქართველოში სამ თვეში ერთხელ ჩამოდის, წინასწარ ჩაწერილ პაციენტებს ხვდება, ეცნობა მათი ავადმყოფობის ისტორიას და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს მიზანმიმართულ მკურნალობას ან ინ ვიტრო განაყოფიერებას. მის სახელს უკავშირდება არაერთი წარმატებული ინ ვიტრო განაყოფიერება როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში.

კლინიკის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან ქორიძე აცხადებს, რომ ასეთი დონის პროფესიონალთა სისტემატური ვიზიტი საქართველოში დიდი იმედია უშვილო წყვილებისათვის: „ვცდილობთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ უშვილობის პრობლემის დაძლევაში...“

**სოფო კვალიაშვილი, კლინიკა „ჯანმრთელობის სახლის“ გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგი:**

– ჩვენს კლინიკაში ყველანაირი სერვისია ორსულობის დაგეგმვიდან მშობიარობის ჩათვლით. თუ მკურნალობის სხვადასხვა მეთოდით ვერ ხდება სასურველი შედეგის მიღება, მაშინ მივმართავთ ინ ვიტრო განაყოფიერების მეთოდს. „ჯანმრთელობის სახლში“ უკვე რამდენიმე წელია არსებობს „ინ ვიტრო“ განაყოფიერების განყოფილება. ჩვენი პარტნიორია ისრაელში წამყვანი კლინიკა SHEBA-ს რეპროდუქციური ჯანმრთელობისა და ხელოვნური განაყოფიერების განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი ჯოშუა დორი, მაღალი კვალიფიკაციის მქონე ემბრიოლოგებთან ერთად. ქართველ პაციენტებს ქვეყნიდან გაუსვლელად შეუძლიათ მიიღონ კონსულტაცია და საჭირო მკურნალობა მაღალკვალიფიციური პერსონალისგან. პროფესორი დორი წელიწადში რამდენჯერ სტუმრობს ჩვენს კლინიკას, სადაც ტარდება „ინ ვიტრო“ განაყოფიერების პროცედურები. სურვილის შემთხვევაში წყვილებმა კონსულტაციისთვის უნდა მოგვმართონ „ჯანმრთელობის სახლში“, რათა მოხდეს მომზადება „ინ ვიტრო“ განაყოფიერებისთვის, ან წარმოადგინონ თავიანთი სამედიცინო ისტორია. საჭიროების შემთხვევაში პროფესორ დორთან შესაძლებელია ონლაინკონსულტაციაც. ახლა 18 თებერვალს იყო ჩამოსული და წარმატებით განახორციელა რამდენიმე ინ ვიტრო განაყოფიერება. ასეთი დონის პროფესორის ვიზიტი ჩვენს კლინიკაში დიდი ფუფუნებაა ჩვენი პაციენტებისათვის. ისრაელში მასთან ვიზიტი და მკურნალობა რამდენჯერმე ძვირია. ბატონი ამირან ქორიძის ურთიერთობებმა და კავშირებმა მოგვცა საშუალება, მსოფლიოში წამყვან ემბრიოლოგებთან გვქონდეს მუდმივი ურთიერთობა და ის ხელმისაწვდომი გახდეს ქართველი პაციენტებისათვის.



ამირან ქორიძე



**ჩვენი მისამართია:**
**ქ. თბილისი, წინანდლის ქ. №9**
**პირველი კლინიკური საავადმყოფოს ტერიტორია,**
**კლინიკა „ჯანმრთელობის სახლი“**

**კონსულტაციაზე ჩასაწერად დარეკეთ:**

**ტელ: (995 32) 2 77 19 06;**
**2 77 19 07 (9.30-16.00)**

**გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგი (მედიცინის აკადემიური დოქტორი) სოფიო კვალიაშვილი – 577 42 12 01**

# შეიცვლება თუ არა თურქეთის საზღვრები საქართველოსა და სომხეთის სასარგებლოდ

**რუსეთის სამხრეთის ფედერალურ ოკრუგში ჩატარებული მსხვილმასშტაბური სამხედრო წრთვნები, რეგიონში სიტუაციის განვითარების თვალსაზრისით, შეშფოთებას იწვევს.**

**ამ თემაზე სტატიას თურქული გამოცემა „ძამან“ აქვეყნებს.**

**მასალის მიმოხილვას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:**



მანევრები, რომელიც კავკასიაში, შავი და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობდა, 8500 სამხედრო მოსამსახურე, 200 სამხედრო თვითმფრინავი, 20 ხომალდი და დაახლოებით ათასამდე მძიმე ტექნიკა მონაწილეობდა. ძალის დემონსტრაცია მოულოდნელად დაიწყო რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს ბრძანებით. სხვათა შორის, ეს ის შოიგუა, რომელიც ასე მოსწონდათ ჩვენს ანალიტიკოსებს მისი წარმომავლობის თურქული ფესვების გამო. ეს მანევრები აშკარა სიგნალია, რომელიც რეგიონულ მოვლენებს, უპირველესად კი, სირიის ამბებს უკავშირდება.

რუსეთმა, რომელმაც აფხაზეთში განლაგებული სამხედრო ბაზებით და იქ ჩატარებული სამხედრო წრთვნებით კრიტიკა დაიმსახურა, ახლა ყირიმის გაძლიერებულ მილიტარიზებას ახდენს და ნახევარკუნძულისაგან ავანპოსტს ქმნის. ამაზე ჩვენი მასმედია შეშფოთებული წერს.

კუნთების თამაშითა და აქტიური პროპაგანდისტული საქმიანობით, რუსეთი აგრძელებს შიშის თესვას და გავლენის გაფართოებას. ასეთი პროპაგანდის მაგალითისათვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება: რუსმა კომუნისტებმა, ლიბერალებმა და ნაციონალისტებმა ერთსულოვნად შეიტანეს დიდი წვლილი იმაში, რომ მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებების [დენონსაციის მიზნით] საუბარი დაწყებულიყო.

რუსმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც 1921 წლის მარტ-ოქტომბერში გაფორმებული იმ ხელშეკრულებების დენონსირებაზე ალაპარაკდნენ, რომლებშიც თურქეთის აღმოსავლეთი საზღვრებია განმტკიცებული, საქართველო და სომხეთი საგონებელში ჩააგდეს. ზოგიერთი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ ეს ნაბიჯი რეალური პოლიტიკის წინააღმდეგაა გადადგმული და [ლოგიკას არ ექვემდებარება, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ თურქეთის აღმოსავლეთის საზღვარი საქართველო-სომხეთის სასარგებლოდ უნდა შეიცვალოს. მთავარი ამ შემთხვევაში ისაა, რომ თანდათანობით გააქტიურდეს და განხილულ იქნეს ის საკითხები, რომლებიც დღემდე არავის არ დაუყენებია დღის წესრიგში. ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან ეშმაკურ სვლასთან, რომელიც იწყება იდეით „რატომაც არა“ და შეუძლია კავკასიაში თურქეთის [და დასავლეთის] საწინააღმდეგოდ მძაფრი ნაციონალისტური და ექსპანსიონისტური განწყობები ჩამოაყალიბოს. გრძელვადიან პერსპექტივაში ეს სწორედ რუსეთისთვისაა ხელსაყრელი.

ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთში მოქმედი სომხური დიასპორა ამ ნაბიჯებს მხარს უჭერს. რატომღაც ახლა დაიწყეს სომხურმა გაზეთებმა „ორიზონმა“, „ასბარეზმა“ და სხვებმა შესაბამისი სტატიების ბეჭდვა. მაგალითად, ერთ-ერთი ავტორი უეინ მედსენი თავის სტატიაში წერს, რომ თურქეთი მზადაა ნახჭევანის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზები შექმნას, სომხეთი ხაფანგში მოაქციოს და ამით რუსეთის ინტერესებს დარტყმა მიაყენოს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ მსგავსი ნაბიჯებითა და ინიციატივებით თურქეთი ცდილობს რადიკალური ისლამის გავრცელებას ქრისტიანობის წინააღმდეგ. იგი ამბობს, რომ თურქეთის ასეთ პოლიტიკას კავკასიაში რელიგიური ომის გამოწვევა შეუძლია. კიდევ ერთ პუბლიკაციაში გამოხატულია რუსეთში არსებული ჯავახკთა სომხური დიასპორის მოწოდება, სასწრაფოდ იქნეს მიღებული ზომები თურქეთის წინააღმდეგ.

არის ბევრი მაგალითი იმისა, თუ როგორი კრიზისული სიტუაციის შექმნა შეუძლიათ ამ ცრუ და სინამდვილისგან შორს მდგარ პუბლიკაციებს. მიზანიც რომ არ იქნეს მიღწეული, ისეთი დიდი შიშის ატმოსფეროს ქმნის, რომ ბევრ ქვეყანას სრულიად ეყოფოდა. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ძალის დემონსტრაციასთან ერთად, ასეთი პუბლიკაციები მთელ მსოფლიოში ვრცელდება. ადამიანთა ცნობიერებაში გაჩენილი კითხვები კი გავლენას ახდენს სახელმწიფოთა პოლიტიკის ფორმირებაზე. ალბათ, გამორიცხული არაა, რომ ჩვენ მალე მოვახდენთ რუსეთის მიმართ კავკასიის სახელმწიფოთა კეთილგანწყობის სიგნალების კონსტატირებას.

საჭიროა ყურადღებით ვადევნოთ თვალი პროცესებს. აზერბაიჯანი ნავთობზე ფასების მკვეთრი დაკლების გამო მზადაა სამხედრო ბიუჯეტი შეამციროს, ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს რუსეთის გავლენის დაძლევაში ეხმარება, თბილისი ნატოს მოუწოდებს, რომ რეგიონში უსაფრთხოების ზომები გააძლიეროს და იმავდროულად ცდილობს რუსეთთან ენერგეტიკული თანამშრომლობა გააფართოოს. ანკარა რეგიონის მიმართ ფრთხილად უნდა იყოს: კავკასიაში გრძელვადიანი გეგმები სხვა ქვეყნებსაც აქვთ. კომპიუტერული თამაშების სტრატეგიის დასაწყისშიც კი ჩანს, თუ სადამდე მიყვანა შეუძლია ამგვარ სვლებს.

**ნიუსპრესი**

# კომუნალურ ვაუჩერებს ყველა ველარ მიიღებს




მიიღებენ ის ოჯახები, რომლებსაც სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 ათას ქულაზე ნაკლები აქვთ

კომუნალურ ვაუჩერებს ის ოჯახები მიიღებენ, რომლებსაც სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 ათას ქულაზე ნაკლები აქვთ.

ამის შესახებ მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა, გელა ჩივიაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, კომუნალური ვაუჩერები წლების განმავლობაში თბილისის იმ მოქალაქეებს ერიცხებოდათ, რომლებსაც მაღალი შემოსავალი ჰქონდათ.

– დიდი ხანი მიდიოდა ამაზე მსჯელობა, მათ შორის მთავრობის ეკონომიკურ საბჭოში, საკრებულოში და გასულ კვირას უკვე შევიდა მერია საკრებულოში ინიციატივით, რომ იმ ოჯახებმა მიიღონ კომუნალური ვაუჩერები, ვისაც სოციალურად დაუცველთა ბაზაში 200 ათას ქულაზე ნაკლები გააჩნია, ესენი არიან ოჯახები, რომლებიც ყველაზე მეტად შეჭირვებულები არიან და რეალურად სარგებლობენ არა მარტო კომუნალური სუბსიდიის, არამედ მერიის სხვა სოციალური პროგრამებითაც, – განაცხადა ჩივიაშვილმა.

მისი თქმით, იმ ადამიანებს, რომლებიც თვლიან, რომ არიან სოციალურად დაუცველები, შეუძლიათ, მიიღონ მონაწილეობა სოციალურად დაუცველთა ბაზაში.

– თუ მიიღებენ 200 ათას ქულაზე ნაკლებს, რაც საკმაოდ მაღალია, ისინი ყველა ისარგებლებენ ამ შეღავათით. ამ მიმართულებით თანხები მიზნობრივად და ეფექტურად იქნება გადანაწილებული, – განაცხადა ჩივიაშვილმა.

საკრებულოს ფრაქცია ნაციონალური მოძრაობა თბილისის თავმჯდომარემ ირაკლი აბესაძემ განაცხადა, რომ ნოემბერ-დეკემბერში თბილისის მოსახლეობა კომუნალურ ვაუჩერს ველარ მიიღებს.

მისი თქმით, 2016 წლის ბიუჯეტში კომუნალური სუბსიდიის მუხლი 13,5 მილიონი ლარით მცირდება.

**ბიპიენი**

# ნატა ფერაძე: „ბიძინა ივანიშვილმა კიდევ 30 ხეს დაადგა თვალი“



„პარტიზანმა მებაღემ“ ნატა ფერაძემ ციხისძირში ხეების გადარგვის სამუშაოების დათვალიერების შემდეგ განაცხადა, რომ ბიძინა ივანიშვილმა კიდევ 30 ხეს დაადგა თვალი.

როგორც ნატა ფერაძემ აღნიშნა, „ტიტას ხე უკვე დაღუპულია“, თუმცა ევროპელი სპეციალისტების დახმარებით, ის ეცდება სხვა ხეების გადარგვა აღარ განხორციელდეს. მისივე თქმით, გერმანელი სპეციალისტის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ხის გახარების მხოლოდ 5%-იანი შანსი არსებობს.

„პარტიზანი მებაღეები“ მარტის ბოლოს ელოდებიან ევროპელ სპეციალისტს, რომელიც გარემოზე მიყენებული ზიანის შესახებ დასკვნას დადებს. ნატა ფერაძის განცხადებით, ორჰუსის კონვენციით მინიჭებული უფლებით ის საქმის სასამართლოში აღძვრას აპირებს.

ნატა ფერაძე:

– გერმანელმა მეტყევემ ვალტერ ბენეკერდორფმა გამომიგზავნა დასკვნა, რომლის მიხედვითაც ამ ასაკისა და სახეობის ხის ასე გადარგვა პრაქტიკულად არ იძლევა შანსს, ხემ გაიხაროს. მაქსიმუმ 5% არსებობს, რომ ხე გაიხარებს, თუმცა წელს და გაისად მცენარე გამოიღებს ფოთოლს, იმიტომ, რომ უკვე აღებული აქვს ნიადაგიდან მარაგი და ყველა ნივთიერება.

ორი წლის შემდეგ ჩვენ გვეცოდინება, ამ ხემ გაიხარა თუ არა. ასევე, ფოტოდოკუმენტაცია გავუგზანეთ რამდენიმე ევროპული ბოტანიკური ბაღის დირექტორს. ისინი უახლოეს მომავალში გამოგვიგზავნიან დასკვნებს.

მარტის ბოლოს ველოდებით ევროპელ სპეციალისტს, რომელიც ადგილზე ჩამოვა და დაწერს, თუ რა ზიანი ადგება გარემოს, რის მიხედვითაც აღვძრავთ სასამართლოში საქმეს ორჰუსის კონვენციით მონიჭებული უფლებით გარემოზე მიყენებულ ზიანზე და მოვითხოვთ ამ პროცესის შეჩერებას.

ციხისძირში ტიტას ხის გადარგვის სამუშაოები გრძელდება. ციხისძირიდან მისი გადატანა სავარაუდოდ, მომავალ კვირას განხორციელდება.

**ინტერპრესნიუსი**

# ზურაბ ჯორბენაძე: „ვეკითხები ნინო გვენეტაძეს, რატომ დანიშნეს მოსამართლეებად ჩემი ძმა და ბიძაშვილი?“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

***– ახვლედიანს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმის გამო, რაც მას ჩადენილი აქვს, ვთქვათ, თავისი მუშაობის პერიოდში?***

– ბატონი ახვლედიანი შესაძლებელია იყოს დასასჯელი იმ უკანონობისა და გადაცდომების გამო, რაც მას ნაცმოძრაობის დროს აქვს ჩადენილი რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობისას, მაგრამ მნიშვნელოვანია ის პასუხისმგებლობა, რაც ბატონმა ახვლედიანმა გარკვეული ფაქტების გაჟღერებით აიღო. მან გაამჟღავნა, რა წესით ინიშნებოდნენ მოსამართლეები იუსტიციის საბჭოს მიერ დღეს.

გვენეტაძეს გავახსენებ, ვინ როგორ ინიშნებოდა. მურუსიძე დანიშნულია კორუფციული გარიგებით, ჩემი ძმის შუამდგომლობით.

ასევე აუცილებლად მოითხოვს პასუხს კითხვა, როგორ აღმოჩნდნენ ქალბატონები მაია თეთრაული, ლელა ნოზაძე და ხატია არდაზიშვილი მოსამართლის სავარძელში?

***– ამ მოსამართლეებს რას ერჩით?***

– სამივე მათგანი ჩემი ძმის შუამდგომლობითაა დანიშნული მოსამართლეებად. მათ არანაირი დამსახურება არ ჰქონდათ. ეს კორუფციული გარიგება იყო.

***– თქვენი ძმის შუამდგომლობა იმთავითვე კორუფციულ გარიგებას ნიშნავს?***

– რა თქმა უნდა, ვადასტურებ, რომ ეს არის კორუფციული გარიგება.

***– ფულს გამორიცხავთ?***

– ფულს გამოვრიცხავ, პირადი გარიგებაა. ეს იყო გარკვეული „შკოლა“. შეარჩევდნენ კადრებს და გამოზრდიდნენ უსინდისობის თვალსაზრისით.

***– ეს იყო ადეიშვილის „შკოლა“?***

– დიახ. ადეიშვილის „შკოლაში“ კადრებს ზრდიდნენ უსინდისობის თვალსაზრისით. მაგალითად, მაია თეთრაული გამოზარდეს ამ „შკოლაში“, როგორც ყველაფრის მკადრებელი, მოსამართლედ დანიშნეს და დააყენებინეს „ციხის ბუნტის“ განაჩენი. შემდეგ მაია თეთრაულს ეს დაუფასეს და დანიშნეს აპელაციის მოსამართლედ. არ არის „შკოლა“? ამაზე დიდი კორუფცია რა უნდა იყოს? არის კიდევ ერთი „შკოლა“ – რეალური ფაქტია, რომელსაც მურუსიძე ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაექცევა.

ჩემი პატივცემული ბიძაშვილი მერაბ ჯორბენაძე მოსამართლედ დანიშნეს იმიტომ, რომ ჩემი ძმის ძმა იყო.

იუსტიციის საბჭოს მაშინდელმა შემადგენლობამ, როცა ვალერი ცერცვაძე იყო იუსტიციის საბჭოს მდივანი, ხოლო კუბლაშვილი – თავმჯდომარე.

მერაბ ჯორბენაძე მოსამართლედ იმიტომ დანიშნეს, რომ იუსტიციის საბჭოს ყველა წევრს ჩემი ძმა ეგონა, ანუ ჩემი ძმის ძმა ეგონა. ყველა მათგანი მილოცავდა, შენი ძმა მოსამართლედ დავნიშნეთო. ვეუბნებოდი, დებილები ხართ, ჩემი ძმა დიდი ხანია მოსამართლეა, მერაბ ჯორბენაძე კი ჩემი ბიძაშვილია-მეთქი. ახლა ჩემი ბიძაშვილი მოსამართლედ უვადოდ დანიშნეს.

რატომ დანიშნეს უვადოდ მერაბ ჯორბენაძე? იმიტომ, რომ ლევან მურუსიძე ჩემი ბიძაშვილის მეჯვარე და ბავშვის ნათლიაა. თავისივე ნათლულის მამას, რა თქმა უნდა, დანიშნავდა უვადოდ. ვეკითხები, რა კრიტერიუმით დაინიშნა მერაბ ჯორბენაძე უვადო მოსამართლედ?

***– ბატონო ზურაბ, ახლა თქვენ ბევრი რამ გამოიტანეთ სააშკარაოზე. თქვენი ძმა და ბიძაშვილი, მგონი, სახლში აღარ შეგიშვებენ.***

– არც მაინტერესებს. ვეკითხები იუსტიციის საბჭოს მდივან მურუსიძეს და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის საბჭოს თავმჯდომარე ნინო გვენეტაძეს, რა კრიტერიუმით დაინიშნა უვადო მოსამართლედ ცოტნე გამსახურდიას წინააღმდეგ განაჩენის დამდგენი ჩემი ბიძაშვილი მერაბ ჯორბენაძე. რა დამსახურება აქვს მას, გარდა იმისა, რომ ლევან მურუსიძე მისი მეჯვარეა? ცოტნე გამსახურდიას საქმეზე განაჩენის დამყენებელი მოსამართლე, მინიმუმ, სახლში მაინც უნდა გაეშვათ.

***– რას ელოდებით?***

– არაფერს. ახლა მოხდა ყველაზე საზიზღარი რამ, რაც ნაციონალების დროსაც კი ვერ იკადრა ხელისუფლებამ.

***– რას გულისხმობ?***

– ის სასამართლოს თავმჯდომარე, რომელმაც გაბედა სიმართლის თქმა, გაათავისუფლეს.

***– ნაციონალების დროს სიმართლის თქმასაც ვერ ბედავდნენ.***

– ეშინოდათ და ვერ ამბობდნენ. ამან გაბედა და თქვა. საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლე ახვლედიანი, რა თქმა უნდა, დასასჯელია, მაგრამ...

***– ისე, ახვლედიანს პატიოსნად არ მოექცნენ, მოსამართლედ მაინც რომ დატოვეს? ნაცები გააქრობდნენ სასამართლოდან, თუ არ დაპატიმრებდნენ.***

– მოსამართლედ დატოვება არ არის პატიოსნება. მოსამართლეობიდან იმიტომ ვერ გადააყენეს, რომ კანონი სხვანაირ მოქცევას არ ითვალისწინებს.

# ვახტანგ ხმალაძე: „ახალი წესით მოწმის დაკითხვა ნებაყოფლობითია“

ნათია ხურცილავა



**20 თებერვლიდან საქართველოში ახალი კანონი ამოქმედდა, რომელიც მოწმეთა დაკითხვის ახალ წესს განსაზღვრავს. რას ითვალისწინებს მოწმის დაკითხვის ახალი წესი? არის თუ არა მოწმე ამ შემთხვევაში დაცული? როგორია ის სტანდარტი, რომელმაც კანონის სახე მიიღო?**

კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრი, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძე ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ საუბრობს.

**ვახტანგ ხმალაძე:**

– მოწმეთა დაკითხვის ახალი წესის არსი გახლავთ ის, რომ მოწმის გამოკითხვა გამოძიების ორგანოების მიერ უკვე მთლიანად ნებაყოფლობითია. გამომძიებელს მოწმის დაკითხვა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ მოწმე ამის შესახებ თანხმობას განაცხადებს.

***– მოწმის დაკითხვას ვინ ესწრება ახალი წესის მიხედვით?***

– მოწმე შეიძლება დაიკითხოს, როგორც ადვოკატის თანდასწრებით, თუ ამის სურვილი აქვს მას, ასევე ადვოკატის გარეშეც, ესეც თავად მოწმის გადასაწყვეტია. გარდა ამისა, თუ მოწმე უარს იტყვის გამოძიებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე, მაშინ გამოძიებას უჩნდება უფლება, რომ მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით, რათა მოწმე სასამართლოში იქნას გამოძახებული და სასამართლოში მოსამართლის წინაშე დაიკითხოს.

***– როდის შეიძლება ეს მოხდეს?***

– ეს შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუკი გამოძიების მხარე, ამ შემთხვევაში პროკურორი, დაასაბუთებს იმას, რომ მაღალი ალბათობით მოწმე ფლობს ან შეიძლება ფლობდეს იმ ინფორმაციას, რომელიც მნიშვნელოვანია დანაშაულის გასახსნელად. თუ სასამართლომ გაიზიარა და დააკმაყოფილა პროკურორის ეს შუამდგომლობა, მაშინ მოწმე სასამართლოში იქნება წარმოდგენილი, ის შეიძლება ამ დროს იყოს, ისევე, როგორც გამოკითხვის დროს, ადვოკატის მონაწილეობით და ასევე ადვოკატის მონაწილეობის გარეშეც წარიმართოს დაკითხვა, ეს მთლიანად მოწმის სურვილზე იქნება დამოკიდებული.

***– ამ შემთხვევაში დაკითხვას ვინ ატარებს?***

– დაკითხვას ატარებს გამომძიებელი, მაგრამ ეს ხდება იმ დარბაზში, სადაც ზის მაგისტრანტი მოსამართლე ან მოსამართლე, რომელსაც დაკისრებული აქვს მაგისტრანტი მოსამართლის ფუნქცია.

***– რა არის მაგისტრანტი მოსამართლის ფუნქცია ამ შემთხვევაში?***

– ამ შემთხვევაში მაგისტრანტი მოსამართლის ფუნქციაა, რომ თვალყური მიადევნოს დაკითხვის პროცესს, რათა დაცული იყოს კანონით დადგენილი მოთხოვნები.

***– თუ კანონის დარღვევა მოხდა?***

– ნებისმიერი გადახრის შემთხვევაში კანონის მოთხოვნებიდან მაგისტრანტი მოსამართლე ამ დარღვევას აღკვეთს და მხარეებს დააბრუნებს კანონის მოთხოვნების ჩარჩოში.

***– თავად მოსამართლეს თუ აქვს დაკითხვის პროცესში ჩარევის უფლება, მაგალითად, კითხვის დასმის?***

– თავად მოსამართლე არ აწარმოებს დაკითხვას. ის მოწმეს კითხვებს არ უსვამს. მოსამართლე მხოლოდ აკვირდება იმას, რომ არ მოხდეს მოწმეზე რაიმე სახის ზემოქმედება, მაგალითად, ფსიქოლოგიური ზემოქმედება, ფიზიკურ ზემოქმედებაზე საუბარი ზედმეტია. მოსამართლე აკვირდება პროცესს, რომ არ დაისვას ისეთი სახის შეკითხვები, რომლებმაც შეიძლება მოწმის უფლებები შელახოს. მაგალითად, მოთხოვნა იმისა, რომ მოწმემ მისცეს ჩვენება იმ პირთა წინააღმდეგ, ვის წინააღმდეგაც მას უფლება აქვს, რომ ჩვენება არ მისცეს.

***– ამის აღკვეთა შეუძლია მოსამართლეს?***

– არათუ შეუძლია, ეს მოსამართლის პირდაპირი მოვალეობაა, რადგან კანონი სწორედ მოწმის უფლებებსა და მის დაცულობაზე გვესაუბრება. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს შეუძლია მოწმე გააფრთხილოს, რომ მას ასეთი უფლება აქვს. თუ ეს გამომძიებელმა არ გააკეთა.

***– ამ კანონის ამოქმედების მთავარი მიზანი რა არის?***

– ამ ახალი წესის ამოქმედების მთავარი მიზანი არის ის, რომ მთლიანად გამოვრიცხოთ მოწმეზე უკანონო ზემოქმედება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია გარემო, თუ სად მოხდება მოწმის დაკითხვა. ეს გარემო ძალიან მინდა შევადარო იმ გარემოსთან, რომელიც კინოფილმებში გვინახავს, სადღაც ჯურღმულში, დახურულ სივრცეში როგორ კითხავენ მოწმეს.

***– რამდენადაც ვიცი, ეს არ შეეხება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს.***

– შეეხება ყველა დანაშაულს, გარდა იმ რიგი მუხლებისა, რომლებზეც გადაიდო დაკითხვის ასეთი წესის ამოქმედება ერთი წლით და ასევე არის მუხლები, რომლებზეც ორი წლით გადაიდო.

***– და რომელია ეს მუხლები?***

– საუბარია ტერორისტულ დანაშაულთან დაკავშირებულ მუხლებზე და მკვლელობაზე, სწორედ ამ მუხლებზე გადაიდო დაკითხვის ახალი წესის ამოქმედება. მოწმეთა დაკითხვის ეს სისტემა სრულიად ახალია. ახალია მოსამართლეებისთვის, ახალია გამოძიებისთვის, ადვოკატებისთვის.

***– რამდენად არის მზადყოფნა?***

– ჯერ კიდევ ამ კანონის მიღებამდე, კანონი დეკემბრის ბოლოს იქნა მიღებული, პროკურატურაში, შს სამინისტროში კვალიფიკაციის ამაღლება მოხდა იმ პროკურორებისთვის, გამომძიებლებისთვის, რომლებმაც მოწმეთა დაკითხვის ახალი წესი უნდა გამოიყენონ. ასევე მომზადდა მოსამართლეებისთვის ინსტრუქციები, კრიტერიუმები – უნდა იქნას მოწმე მოყვანილი სასამართლოში დასაკითხად თუ არა. კანონის მომზადების ყველა ეტაპზე ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, ადვოკატები, პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები.

***– მოწმეთა დაკითხვის ეს წესი ევროპული მოდელის შესაბამისია?***

– დიახ, ევროპის ქვეყნების საპროცესო კანონმდებლობა, სადაც არის მსგავსი წესები, ამის ნათელი მაგალითია. სამომავლოდ თუ რა ცვლილებები შეიძლება შევიდეს ამ წესში, ეს დამოკიდებული იქნება იმ პრაქტიკაზეც, რომელსაც ვნახავთ.

განვითარებულ ქვეყნებში, სადაც სამართლებრივი თვითშეგნება საკმაოდ მაღალია, მცირე წილი მოდის სასამართლოებში მოწმეთა დაკითხვაზე. უმეტეს შემთხვევაში მოწმე გამოძიებასთან თანამშრომლობს და გამოძიებისთვის საჭირო ინფორმაციას აძლევს.

# კობახიძე კობახიძეების წინააღმდეგ

შორენა მარსაგიშვილი

**ალეკო ელისაშვილის მიერ აგორებული კოკაინის სკანდალი ახალი ძალით აგორდა. ამჯერად მასში ვიცე-სპიკერ მანანა კობახიძის ძმა, თედო კობახიძე გაეხვია.**









ყველაზე საინტერესო ისაა, რომ სკანდალი მათმა მოგვარემ, ადვოკატმა კობა კობახიძემ ააგორა. ის „ქართული ოცნების“ ყოფილი იურისტი გახლავთ.

გადაცემა „არჩევანში“ კობა კობახიძემ კოკაინის საქმის სკანდალური დეტალები გაამჟღავნა. მისი თქმით, ის ანასტასია ზაუტაშვილის ადვოკატი თედო და მანანა კობახიძეების შუამდგომლობით გახდა.

– თედო კობახიძემ მითხრა, რომ უნდა მომეთხოვა 75.000 ევრო თითოეულისგან, პარალელურად კი მითხრა, შეწყალებაზე ვიმუშავებო. მე მომეჩვენა, რომ ეს არარეალური თანხა იყო, მაგრამ თედოს ვინ ეკითხება, მას მანანათი სცემენ პატივს... თედოს ვუთხარი, რომ ეს ძალიან დიდი თანხა იყო. როცა ანასტასიას დედას ვუთხარი, მეც ვიუხერხულე. მერე ჩემს თავზე ავიღე, ხუთივეზე 75.000 იქნებოდა და ამაზე წამომყვნენ. თედოს ისე ვუთხარი, ალბათ დღესაც ჰგონია, რომ ხუთივესთვის ცალ-ცალკე 75.000 მაქვს ნათქვამი. რადგან ჩემი აზრით, ძალიან შეუსაბამო რიცხვი იყო. მათ ჩამირიცხეს „ქართუ ბანკის“ ანგარიშზე 6.250, საშემოსავლო გადავიხადე 1.250 და დარჩა 5.000, – აცხადებს კობახიძე.

ადვოკატის თქმით, ანასტასია ზაუტაშვილის შეწყალებასთან დაკავშირებით მან პრეზიდენტს მიმართა, მაგრამ უშედეგოდ, რის შემდეგაც ანასტასია ზაუტაშვილის ქმარმა გაბრაზებულმა დაურეკა და ჰონორარის დაბრუნება მოითხოვა.

– გადავამისამართე თედოსკენ. ამ საკითხთან დაკავშირებით ვესაუბრე მუსელიანის ძმას და მითხრა, რომ ფული დაუბრუნა. ანასტასიას დედასაც ველაპარაკე და მითხრა, რომ 6..250 მისცა მანანა და თედო კობახიძეების მამამ, არჩილ კობახიძემ, – განაცხადა ადვოკატმა კობახიძემ.

მოგვარის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სიცრუეს უწოდებს თბილისის საკრებულოს წევრი თედო კობახიძე.

– სიცრუეც არ არის, ეს კიდევ სხვა რაღაცაა, ეს არის არასერიოზული კაცის განცხადებები, რომელიც, არ ვიცი, რას ემსახურება და ვისგან მოდის ეს დაკვეთები. რატომ დასჭირდა კობა კობახიძეს კობახიძეების გამოყენება და ვინ გამოიყენა კობახიძე კობახიძეების წინააღმდეგ, არ ვიცი. ალბათ ამ ოჯახსაც დიდად ვერ წაადგა, თუმცა რეკომენდაცია გავუწიე, რომ კობა კობახიძე ყოფილიყო მათი ადვოკატი. სამწუხაროდ, შევცდი. ეგეც არაფერია, ხდება და ეს ოჯახი ალბათ ამ შეცდომას როგორღაც გადააგორებს, – განაცხადა თედო კობახიძემ.

ამ აურზაურს სკანდალის შემოქმედი ალეკო ელისაშვილიც გამოეხმაურა.

მისი თქმით, კობა კობახიძის ამ განცხადებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქმის მიმართ დეპუტატ მანანა კობახიძეს არაჯანსაღი ინტერესი ჰქონდა.

– მე მენიშნა ის, რომ სწორედ იმაზე იყო საუბარი, რომ და-ძმა კობახიძეებს გარანტია ჰქონდათ, რომ შეწყალების გზით გამოვიდოდნენ კოკაინის საქმის მსჯავრდებულები. და-ძმა იყვნენ თუ არა ასე აქტიურად ჩართული, არ ვიცი, მაგრამ და რომ იყო, ნამდვილად ვიცი. ჩემი აზრით, პროკურატურამ ეს ადამიანი უნდა დაკითხოს. დღეს წესით მისთვის უნდა დაერეკათ და დაებარებინათ. სწორედ ამასთან დაკავშირებით ისაუბრა მან. კორუმპირებული პოლიტიკოსები უნდა დაისაჯონ, რადგან ისინი პრეტენზიას აცხადებენ ქვეყნის მართვაზე, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

## თელავში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებული დააკავებულია



შსს-მ თელავში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს, უწყების კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თელავის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში ნასამართლევი პირი გ.გ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა თელავის რაიონში ურთიერთშელაპარაკებისას, 1968 წელს დაბადებული ვ. გ. ცივი იარაღით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

– სამართალდამცველებმა გ. გ. მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს. პოლიციამ, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტიცებად ამოიღო.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს. გამოძიების წინასწარ ეტაპზე იკვეთება ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული გარემოებები, რაც შესაძლოა მკვლელობის ჩადენის მიზეზი გამხდარიყო, – ნათქვამია განცხადებაში.

გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით) მიმდინარეობს.

**ინტერპრესნიუსი**

## გლდანის საშაურმეში აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი დაშავდა



გლდანში, ერთ-ერთ საშაურმეში მომხდარი აფეთქების შედეგად ოთხი ადამიანი მსუბუქად დაშავდა. შემთხვევა 23 თებერვალს, ღამით მოხდა და სავარაუდოდ, აფეთქება გაზის გაჟონვამ გამოიწვია. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მიმდინარეობს გამოძიება, სსკ-ის 240-ე პრიმა მუხლით, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ობამა: „გუანტანამოს ციხე უნდა დაიხუროს“



აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ მოიწონა პენტაგონის მიერ წარმოდგენილი გეგმა გუანტანამოს ციხის დახურვის შესახებ.

თავის ტელეინტერვიუში ობამამ ხაზი გაუსვა, რომ გუანტანამოს ციხე ამერიკის უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფს.

– იმედია, ჩემი ოპონენტები რესპუბლიკური პარტიიდან ამ არგუმენტს გაიზიარებენ, – თქვა ობამამ.

რესპუბლიკელები კი ობამას კვლავ არ ეთანხმებიან. კონგრესი, სადაც რესპუბლიკელები უმრავლესობას წარმოადგენენ, გუანტანამოს ციხის დახურვის წინააღმდეგია.

# ნაზრანში სტალინური დეპორტაციის მსხვერპლთა ხსოვნის მიტინგი ჩატარდა



ინგუშეთის დედაქალაქ ნაზრანში სტალინური დეპორტაციის მსხვერპლთა ხსოვნის მიტინგი ჩატარდა.

მასში 10.000-მდე ადამიანი მონაწილეობდა.

1944 წელს სტალინის ბრძანებით ჩატარდა ოპერაცია „მთები,“ რის შედეგადაც ჩეჩნებისა და ინგუშების მასობრივი დეპორტაცია განხორციელდა.

შეკრებილთ სიტყვით ინგუშეთის რესპუბლიკის თავკაცმა იუნუსოვმა მიმართა.

# დონბასში აჯანყება დაიწყო



უკრაინის უშიშროების სამსახურის თანამშრომლის, ალექსანდრე ტკაჩუკის ცნობით, სეპარატისტების ცალკეული შეიარაღებული ფორმირებები „დონეცკის რესპუბლიკის“ წინააღმდეგ იარაღით ხელში აღდგნენ.

საუბარია პირველ საარმიო კორპუსზე, რომელიც რუსეთის დახმარებით შეიქმნა. მასობრივად რიგ დასახლებულ პუნქტში ადგილი აქვს შეტაკებებს რუს ჯარისკაცებსა და დონბასელ მებრძოლებს შორის.

სეპარატისტული საიტი „რუსსკაია ვესნა“ წერს, რომ „კიევის ხუნტის“ მიერ მოსყიდულმა ცალკეულმა მებრძოლმა სამხედრო ნაწილები თვითნებურად მიატოვა. საუბარია სოფელ ზაიცევოზე, რომლის ნაწილსაც ადრე სეპარატისტები აკონტროლებდნენ.

ახლა ზაიცევოს ნაწილი ცარიელია, ნაწილს კი უკრაინელები აკონტროლებენ.

გასული დღე-ღამის განმავლობაში უკრაინელმა ჯარისკაცებმა შეძლეს რუსების განდევნა ავდეევკის გარეუბნიდან და ე.წ. „პრომზონა“ დაიკავეს. ამის თაობაზე უკრაინის ანტიტერორისტული ოპერაციების შტაბი იუწყება.

„დონეცკის რესპუბლიკის“ მეთაურმა ზახარჩენკომ ეს ფაქტი აღიარა და უკრაინელები მინსკის შეთანხმებების დარღვევაში დაადანაშაულა.

– ბრძოლები უკვე დონბასის მთელ ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ცეცხლშია გახვეული დონეცკის გარეუბანი იასინოვატაია, გორლოვკა. კიევის ხუნტის მიერ მოსყიდული მოღალატეები ჩვენს მეომრებს ზურგში ესვრიან! – აცხადებს ზახარჩენკო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# პუტინს კადიროვი აღარ სჭირდება?



ოპოზიციური პარტია „პარნასის“ წევრის, იაშინის მოხსენებამ გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია.

მასში დეტალურადაა განხილული ჩეჩნეთში შექმნილი მდგომარეობა. დასახელებულია კადიროვის არმიის მეომართა ზუსტი ციფრი – 30.000 ჯარისკაცი. ფორმალურად ისინი რუსეთის შსს-ს ემორჩილებიან. სინამდვილეში კი მათი უმაღლესი მთავარსარდალი რამზან კადიროვია. ეს ბიჭები საუკეთესოდ არიან გაწვრთნილი. მათ შეიარაღებაშია უახლესი რუსული სამხედრო ტექნიკა.

– კონსტიტუციით ჩეჩნეთს არმიის ყოლის უფლება არ აქვს, თუმცა ერთია კანონი, რეალობა – მეორე, – ამბობს იაშინი.

პოლიტიკოსი ყურადღებას ამახვილებს ჩეჩნეთის მოსახლეობის მკვეთრ სოციალურ დიფერენციაციაზე. რამზან კადიროვმა მდიდრული ციხე-კოშკი აიშენა. მას აქვს კერძო ზოოპარკი, ჰყავს მრავალი უცხოური მარკის მანქანა. კადიროვის გარემოცვა ასევე ფუფუნებაში ცხოვრობს, მთლიანად რესპუბლიკაში კი სიღატაკეა.

– ხალხი ყველაფერ ამას ხედავს და რუსეთის მიმართ სიძულვილით იმსჭვალება. კადიროვი ხომ მათ თვალში რუსეთის მიერ თავსმოხვეული ხელისუფალია, – ამბობს იაშინი.

დასასრულს პოლიტიკოსი აკეთებს დასკვნას, რომ აუცილებელია რამზან კადიროვის ხელისუფლებიდან ჩამოშორება. ამას რუსეთის ინტერესები მოითხოვს, რადგან დაუშვებელია, არსებობდეს სახელმწიფო სახელმწიფოში. კადიროვმა კი რუსეთის შიგნით ნამდვილი ხალიფატი შექმნა. რუსეთის ერთიანობისადმი სიტყვიერი მხარდაჭერა პუტინის მხრიდან მხარდაჭერის გარანტია. კადიროვიც ისე იქცევა, როგორც ხანი თავის სამფლობელოში.

– თუკი ასე გაგრძელდა, აფეთქება ჩეჩნეთში გარდაუვალია, – ამტკიცებს იაშინი.

რადიო „თავისუფლება“ თვლის, რომ იაშინის უკან თავად პუტინი დგას, რომელიც კადიროვის გადასაყენებლად ნიადაგს ამზადებს.

კადიროვის მმართველობისას ჩეჩნეთი მართლაც გადაიქცა სახელმწიფოდ სახელმწიფოში. ამას გარდა, კადიროვი თავს ზედმეტის უფლებასაც აძლევს. ჩეჩნეთის ლიდერი საჯაროდ აცხადებს, რომ პუტინი არასაკმარისად გაბედულია, რომ აუცილებელია კიევის რაკეტებით დაბომბვა, ლვოვის მიწასთან გასწორება, სირიაში ფართომასშტაბიანი ინტერვენციის განხორციელება და ა.შ.

შეშფოთებას იწვევს ჩეჩნეთის მზარდი ისლამიზაციაც, რაც კადიროვის მმართველობისას მოხდა. დღეს, როცა ისლამური ექსტრემიზმის პრობლემა ასე მწვავედ დადგა, ეს კრემლის შეშფოთებას იწვევს. პუტინსაც აღარ სჭირდება კადიროვი, რომელმაც თავის დროზე მას დუდაევის პარტიზანებთან ბრძოლაში ფასდაუდებელი დახმარება გაუწია.

ეს არ ნიშნავს იმას, რომ პუტინი კადიროვს გაწირავს. არის მოსაზრება, რომ

კადიროვს დააწინაურებენ და მოსკოვში უფრო მაღალ თანამდებობაზე გადაიყვანენ, მის ადგილს კი უფრო ზომიერი ლიდერი დაიკავებს.

ვიტალი პორტნიკოვის აზრით, კადიროვის გადაყენებით ბევრი არაფერი შეიცვლება, უბრალოდ, ერთ პრომოსკოველ ლიდერს მეორე შეცვლის, ისეთი, რომელიც მოცემულ მომენტში პუტინს უფრო ხელს აძლევს. რუსეთის იმპერიული წნეხი ჩეჩნეთის მიმართ კი გაიზრდება.

# რუსეთ-ლატვიის საზღვარზე სტალინის ძეგლი აღმართეს

რუსეთში სტალინის მორიგი ძეგლი აღმართეს. ამჯერად ეს რუსეთ-ლატვიის საზღვართან მოხდა.

ძეგლი საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. ჩატარდა მიტინგი, რომლის დროსაც ერთ-ერთმა ორატორმა განაცხადა:

– მსურს ლატვიელებს მივმართო: ვერავითარი ამერიკა და ნატო ვერ დაგიცავთ! მალე რუსული არმია ბალტიისპირეთში შემოვა და სტალინის მიერ დაწყებულ საქმეს დავამთავრებთ, ანუ ლატვიელებს, ლიტველებსა და ესტონელებს თავს ციმბირში ვუკრავთ!

ლატვიელი მესაზღვრეები თავიანთი ტერიტორიიდან ამ სანახაობას თვალს მშვიდად ადევნებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, იურის ვისოცკისმა, ლატვიის ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა:

– რუსეთში სრული დეგრადაციაა! ის, რაც მე ვიხილე, ამის საუკეთესო დადასტურებაა!



# სირიელმა პარტიზანებმა ქალაქი ჰანასერი აიღეს

სირიელმა პარტიზანებმა აიღეს ქალაქი ჰანასერი, რომელიც ალეპოს მახლობლად, ე.წ. სასიცოცხლო ტრასასთან მდებარეობს.



ასადის არმიის მცდელობა, კონტროლი დაემყარებინა სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრასაზე, ჯერჯერობით ვერ განხორციელდა.

რუსულმა ავიაციამ ჰანასერის დაბომბვა დაიწყო. ასადის არმია რუსების დახმარებით ქალაქის დაბრუნებას ცდილობს.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.

**კონსულტაცია უფასოა!**

☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).

მისამართი: აღმაშენებლის 154. „მწვანე ოფისი“.

# განცხადებები

## მკურნალობა

● უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის“ ოფისში. ტელ: 555-75-90-62.

● ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.

● გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

● მხოლოდ აქ! თამარ მეფის 27-ში. „პლანტა“ – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზურიც!); „პლანტა-გლანდა“ – ჩირქოვანი გლანდები, ხვრინვა, გრიპის პროფილაქტიკა; „პლანტა+“ – მასტოპათია (კვანძები!), პოლიკისტოზი, ფიბრომა, უნაყოფობა; „პლანტა-7“ – წყლული, ჰეპატიტი, პროსტატიტი, ადენომა, პოტენცია. ზემოთ აღნიშნულ სერთიფიცირებულ სიროფებს გააჩნიათ ანტისიმსივნური თვისებები! ტელ: 558-59-59-82.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

# თბილისის დინამომ ჩემპიონობისკენ კიდევ უფრო გაიწია

გაიმართა საქართველოს საფეხბურთო პირველობის მორიგი ტურის მატჩები.

**დინამო (თბ) – ლოკომოტივი 2:1**

**თბილისი.** დინამო არენა

0:1 ჩიტეიშვილი (53), 1:1 იაშვილი (58პ), 2:1 კიტეიშვილი (69)

**დინამო:** ჰრდლიჩკა, ამისულაშვილი, რენე, უ.ლობჟანიძე, გურული (თევზაძე 65), კიტეიშვილი, იაშვილი, პარუნაშვილი, ჯიღაური, ს.ლობჟანიძე (არაბული 46), გელაშვილი (ჭელიძე 78)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია, მახარაძე, ფოფხაძე (ჩიხლაძე 72), ჩიტეიშვილი, გეთიაშვილი, არდაზიშვილი, გავაშელიშვილი, ქანთარია (კიკნაძე 62), სულთანიშვილი, ცხადაძე (სამურკასოვი 67)

თბილისურ დერბიში დინამომ ლოკომოტივი მიიღო და 2:1 დაამარცხა მეტოქე. იურაი იარაბეკის გუნდს მიკრო ტრავმების გამო გიორგი ქვილითაია და მათე ცინცაძე აკლდა. ვახო ჭანტურიშვილმა კი ყვითელი ბარათების ლიმიტი ამოწურა.

მატჩი დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს და უკვე მე-6 წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. ჯაბა ჯიღაურის დარტყმული ლოკომოტივის კარის ძელმა მოიგერია. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, თუმცა რეალურ სახიფათო მომენტამდე საქმე არ მისულა.

ტაიმის შუაში საბა ლობჟანიძის თავით დარტყმული ბურთია აღსანიშნავი, რომელიც ჯერ ჯაბა ჯიღაურს მოხვდა, შემდეგ კი სიტუაცია ნიკა ჭანტურიამ განმუხტა.

მეორე ტაიმის დებიუტში ზვიად ქანთარიას დარტყმული ბურთი მასპინძელთა კარის ხარიხას მოხვდა. 53-ე წუთზე კი ლოკომოტივმა მაინც გახსნა ანგარიში – რევაზ ჩიტეიშვილმა შორი მანძილიდან ზუსტი და ძლიერი დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა.

ხუთიოდე წუთში დინამომ თანასწორობა აღადგინა. ნიკა ჭანტურიამ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, მსაჯმა პენალტის ნიშნულს მიუთითა, ალექსანდრე იაშვილმა კი თერთმეტმეტრიანი ზუსტად შეასრულა – 1:1.

69-ე წუთზე დინამოელებმა ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, ალექსანდრე იაშვილმა საგოლე პასი მიითვალა, ოთარ კიტეიშვილმა კი ზუსტი დარტყმით თავისი გუნდი დააწინაურა – 2:1.

მატჩის დასრულებამდე აღარაფერი შეცვლილა და დინამომ მორიგი 3 ქულა შემატა თავის აქტივს.

**სიონი – კოლხეთი 3:1**

**ბოლნისი.** თამაზ სტეფანია

1:0 ტატანაშვილი (27), 2:0 გოგინაშვილი (55), 2:1 ნიქაბაძე (73), 3:1 ტატანაშვილი (90პ)

83-ე წუთზე ვარლამ კილასონიამ პენალტი ვერ გამოიყენა.

**სიონი:** მერლანი, ვ.კილასონია, გურეშიძე, საჯაია, გაფრინდაშვილი, გვალია (შალამბერიძე 78), რაზმაძე, მანჯგალაძე, გოგინაშვილი (კობახიძე 72), ტატანაშვილი, შულაია (გოგობერიშვილი 46)

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, თევზაძე, შალიკაშვილი, გოგონაია, ჩაკვეტაძე, გურეშიძე, გიგაური (მესხი 58), თუხარელი, სიჭინავა (თ.კაკულია 69), ნიქაბაძე, ჯიშკარიანი (ლ.კაკულია 46)

**გაძევება:** სეფიაშვილი (90)

მატჩი ორივე გუნდმა აქტიურად დაიწყო. დასაწყისშივე დიმიტრი ტატანაშვილს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ იხეირა. მე-8 წუთზე გატანა კოლხეთსაც შეეძლო, მაგრამ მცველების შეცდომა თორნიკე თუხარელმა ვერ გამოიყენა.

ამის შემდეგ უპირატესობას მასპინძლები დაეუფლნენ და 26-ე წუთზე ანგარიშის გახსნაც შეძლეს – შულაია-გვალია-ტატანაშვილის კომბინაცია გოლით დასრულდა – 1:0. ტაიმის ბოლომდე საინტერესო არაფერი მომხდარა.

მეორე ტაიმის დასაწყისში ფოთელები თითქოს გააქტურდნენ, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღეს – მეკარესთან პირისპირ გასულმა ირაკლი გოგინაშვილმა მასპინძელთა უპირატესობა გაზარდა.

დარჩენილ დროშიც შეეძლოთ ბოლნისელებს გატანა, მაგრამ კარგად თამაშობდა ფოთელთა მეკარე. ამჯერად საპირისპიროდ მოხდა და ბოლნისელებმა ალოგიკური გოლი მიიღეს. სიონის დაცვისა და მეკარის შეუთანხმებელი თამაშით ნიქაბაძემ ისარგებლა და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა – 2:1.

გაშვებული გოლის შემდეგ ბოლნისელებმა ისევ შეუტიეს და პენალტის უფლებაც მიიღეს, მაგრამ ვარლამ კილასონიამ კარს ააცილა. ბოლო წუთზე კი სეფიაშვილთან პირისპირ გასული ტატანაშვილი კოლხეთის მეკარემ წესების დარღვევით შეაჩერა და წითელი ბარათიც მიიღო. ფოთელებს ცვლილებების ლიმიტი ამოწურული ჰქონდათ და კარში მინდვრის მოთამაშე, ლევან კაკულია ჩადგა. ტატანაშვილმა პენალტი აუღელვებლად დაარტყა – 3:1.

**დინამო (ბთ) – დილა 2:2**

**ქობულეთი.** ჩელე არენა

1:0 კომაზეცი (8პ), 1:1 მარცვალაძე (19), 2:1 შონია (39), 2:2 მარცვალაძე (63)

**დინამო ბთ:** ალავიძე, სუხიაშვილი, მიხაილოვიჩი, ტვილდიანი, შონია, ქავთარაძე, გოგიტიძე, დიასამიძე (გაბედავა 74), ფონიავა (თევდორაძე 82), ვარშანიძე, კომაზეცი

**დილა:** მუჯირიშვილი, კვირკველია, კვახაძე, ხურცილავა, სამხარაძე, ძარია (წიქარიძე 58), საბაძე (მოდებაძე 46), ფალავანდიშვილი, კვირკვია (ერისთავი 72), მარცვალაძე, ჩელებაძე

ორჯერ იგებდნენ ბათუმელები მატჩს, მაგრამ ორჯერვე ოთარ მარცვალაძემ გაუთანაბრა. არადა, განსაკუთრებით სასიამოვნო სანახავი იყო ზღვისპირელთა მეორე გოლი, რომელიც თემურ შონიამ ეფექტური დარტყმით გაუტანა გორელებს.

მანამდე ანგარიში მატჩშიც და საქართველოს ჩემპიონატშიც ნიკოლა კომაზეცმა გახსნა, რომელმაც 11 მეტრიდან პენალტი ზუსტად დაჰკრა. ალბათ მეორესაც გაიტანდა, მატჩის ბოლო წუთზე მსაჯს მისი წაქცევისთვის გორელები ისევ პენალტით რომ დაესაჯა, თუმცა რეფერიმ ამჯერად თავი შეიკავა.

**სამტრედია – საპოვნელა 3:0**

**სამტრედია.** ეროსი მანჯგალაძე

1:0 ზივზივაძე (9), 2:0 მარკოზაშვილი (28), 3:0 ჯიქია (83)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, ცნობილაძე, ენდელაძე (სანდოხაძე 90), მარკოზაშვილი (ახალაძე 77), რაჟამაშვილი, სიხარულიძე, ზივზივაძე (ჯიქია 58)

**საპოვნელა:** გიორგაძე, ოდიკაძე, ჩიკვილაძე, ჭელიძე, ნარიმანიძე (ტყეშელაშვილი 46), ვაჭარაძე, ბოლქვაძე, მიქაბერიძე (ბანძელაძე 55), ქათამაძე, მაკარიძე (ბუხაიძე 25), დვალი

იმერულ დერბიში მასპინძლებმა დასაწყისშივე მოიპოვეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა და მისი ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებიათ.

ბუდუ ზივზივაძისა და თეიმურაზ მარკოზაშვილის გოლების შემდეგ, სამტრედიელებმა ტაიმი 2-ბურთიანი ჰანდიკაპით მოიგეს. მეორე ნახევარში კი, დავით ჯიქიამ საბოლოო წერტილი დასვა.

**ცხინვალი – მერანი 1:1**

**თბილისი.** მიხეილ მესხი. სათადარიგო

1:0 ქოჩლაძე, (17), 1:1 ხაბელაშვილი (19)

**ცხინვალი:** ნადირაძე, ჯაფარიძე, კაკუბავა, ცერცვაძე (ჯიშკარიანი 46), გორგიაშვილი, ბეჭვაია, ლექვთაძე, ქოჩლაძე, ქარდავა, მახარობლიძე, ივანიშვილი

**მერანი:** მამალაძე, ორბელაძე, მელიავა, გიორგაძე, კიკნაველიძე, ტეიდი, ხაბელაშვილი, ჯღამაია (აშორტია 82), ჩიმაკაძე (წყაროზია 64), ჯიქია, საბანაძე (გეგია 90)

**გაძევება:** ორბელაძე (78)




ცხინვალმა ანგარიში კურიოზული გოლით გახსნა – მცველების და მეკარის შეუთანხმებელი თამაშის შემდეგ ბურთი ლაშა ქოჩლაძეს მიუვიდა, რომელმაც დაახლოებით 40 მეტრიდან ზუსტად გადაგზავნა დაუცველ კარში.

სამიოდე წუთში უკვე ცხინვალელმა მცველებმა ითამაშეს უყურადღებოდ და მერანს მხსნელად ილია ხაბელაშვილი მოევლინა, რომელმაც წინა ტურში მარტვილელებს 3 ქულა მოუტანა, ამჯერად ქულის მომტანი გოლი გაუტანა მეტოქეს.

**ტორპედო – ზუგდიდი 2:0**

**მარტვილი.** მურთაზ ხურცილავა

1:0 ქიმაძე (35), 2:0 კაპანაძე (90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მირცხულავა, ქიმაძე, ფანცხავა, კლიმიაშვილი, ნერგაძე, კუხიანიძე, კაპანაძე, სალრიშვილი (ტუღუში 51), წილოსანი (ბრეგვაძე 61), შინდაგორიძე (ფურცხვანიძე 84)

**ზუგდიდი:** ზარქუა, გაგოშიძე, ჩუკვურა, ქანთარია, ტყემალაძე, სამუშია, ჩებოტაევი (ქობალია 70), მალანია (თიბილაშვილი 41), ქირია, ჩანადირი, სამუშია (კოვალენკო 42)

ტორპედომ პირველი გოლი მეკარის შეცდომის შედეგად გაიტანა, რომელმაც კარი დატოვა, ბურთი კი კარგად ვერ მოიგერია და გიორგი ქიმაძემ არ აპატია. მეორე გოლი კი ბოლოს გავიდა – საჯარიმოში ყველაზე კარგად თორნიკე კაპანაძე გაერკვა და საბოლოო შედეგი დააფიქსირა.

**ჩიხურა – საბურთალო 5:0**

**ივანწმინდა.** ცენტრალური

1:0 ჭანკოტაძე (2), 2:0 კირკიტაძე (14), 3:0 სარდალიშვილი (41პ), 4:0 ჭანკოტაძე (65), 5:0 განუგრავა (90)

**ჩიხურა:** კუპატაძე, კაშია, რეხვიაშვილი, ჩიკვაიძე, განუგრავა, დობროვოლსკი, ჭანკოტაძე (კაკაშვილი 78), კორიფაძე, გაბაძე (სარდალიშვილი 18), თ.კირკიტაძე (დ.კირკიტაძე 34), ლ.კუჭუხიძე

**საბურთალო:** ქურდაძე, თოთაძე, მარგველაშვილი, ჩაბრაძე, იაშვილი, ხარაიშვილი, მამუჩაშვილი (ცაწკრიალაშვილი 45), ბიძინაშვილი, ელვინი (კოხრეიძე 28), ფანცულაია, გოშთელიანი

მასპინძლებმა უპირატესობა თავიდანვე მოიპოვეს – პირველ ტაიმში სამბურთიანი სხვაობით იგებდნენ...

საჩხერლები შეხვედრის დებიუტში გიორგი ჭანკოტაძემ დააწინაურა. რამდენიმე წუთში კი თორნიკე კირკიტაძემ თავისიანები ორი ბურთით გაიყვანა წინ. შესვენებამდე ოთხი წუთით ადრე მასპინძლებმა თერთმეტმეტრიანის დარტყმის უფლება მოიპოვეს – გატანილი გოლით თავი მიხეილ სარდალიშვილმა გამოიჩინა.

მეორე ნახევარში გიორგი ჭანკოტაძემ დუბლი მიითვალა, ხოლო უკანასკნელ წუთებზე საბოლოო ანგარიში გიორგი განუგრავამ დააფიქსირა.

**გურია – შუქურა 0:0**

**ლანჩხუთი.** ევგრაფი შევარდნაძე

ველარ უშველეს გურულებს ლეგიონერებმა და მატჩიც უგოლოდ დასრულდა. ორივე გუნდისთვის მისაღები შედეგია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 17 | 15 | 1 | 1 | 47-15 | 46 |
| 2.დილა | 17 | 12 | 3 | 2 | 33-14 | 39 |
| 3.ცხინვალი | 17 | 10 | 4 | 3 | 36-21 | 34 |
| 4.სიონი | 17 | 10 | 3 | 4 | 35-21 | 33 |
| 5.სამტრედია | 17 | 10 | 2 | 5 | 36-20 | 32 |
| 6.ჩიხურა | 17 | 9 | 3 | 5 | 29-14 | 30 |
| 7.დინამო (ბთ) | 17 | 8 | 6 | 3 | 30-17 | 30 |
| 8.შუქურა | 17 | 6 | 5 | 6 | 18-17 | 23 |
| 9.ტორპედო | 17 | 6 | 5 | 6 | 28-28 | 23 |
| 10.საბურთალო | 17 | 6 | 3 | 8 | 25-34 | 21 |
| 11.კოლხეთი | 17 | 5 | 3 | 9 | 14-23 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 17 | 4 | 3 | 10 | 20-26 | 15 |
| 13.გურია | 17 | 2 | 6 | 9 | 13-30 | 12 |
| 14.საპოვნელა | 17 | 2 | 2 | 13 | 11-41 | 8 |
| 15.ზუგდიდი | 17 | 1 | 5 | 11 | 12-37 | 8 |
| 16.მერანი | 17 | 2 | 2 | 13 | 13-42 | 8 |

# ბაიერნმა ტურინში მოგება ვერ შეინარჩუნა, მესიმ ჩეხს მეშვიდე მოარტყა




გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალური მატჩები.

**იუვენტუსი – ბაიერნი 2:2**

0:1 მიულერი (43), 0:2 რობენი (55), 1:2 დიბალა (63), 2:2 სტურარო (76)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ლიხშტაინერი, ბონუჩი, ბარძალი, ევრა, კუადრადო, ხედირა (სტურარო 69), მარკიზიო (ერნანესი 46), პოგბა, დიბალა (მორატა 75), მანჯუკიჩი

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, კიმიხი, ალაბა, ბერნატი (ბენატია 74), ვიდალი, რობენი, მიულერი, ალკანტარა, დუგლას კოშტა (რიბერი 84), ლევანდოვსკი

ტურინში მატჩი შედგა. მართლაც საინტერესო გამოდგა სიუჟეტის განვითარებითა და მდიდარი მოვლენებით. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი საათის განმავლობაში მოედანზე ერთი გუნდი იყო – ბაიერნი, რომელიც ტოტალურ უპირატესობას ფლობდა და ეს ანგარიშშიც სოლიდურად იყო გამოხატული.

მასიმილიანო ალეგრიმ რატომღაც დაცვითი ტაქტიკა და კონტრშეტევებზე თამაში აირჩია, რაც არასწორი გამოდგა. ტურინელებმა გოლი ჯერ პირველი ტაიმის ბოლოს გაუშვეს, შემდეგ მეორეს დასაწყისში და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მეტიც, შეხვედრის მიმდინარეობის შემხედვარე, არა მარტო მატჩის, არამედ ორთამაშიანი დუელის ბედიც კი გადაწყვეტილი ჩანდა. თუმცა, მასპინძლებმა მოახერხეს სცენარის შეცვლა და ანგარიშის გათანაბრება, რაშიც თავისი წვლილი დაიდო ბავარიელთა ახალგაზრდა მცველმა ჯოშუა კიმიხმა, რომელსაც აშკარად არ ეყო გამოცდილება.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ტურინელებს შეეძლოთ ზეწოლა გაეგრძელებინათ ფსიქოლოგიურად გატეხილ მეტოქეზე, მაგრამ ისეც დაცვაში დაიწიეს და თანაბარი ანგარიში საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნეს.

ბაიერნი მაინც სოლიდური უპირატესობით დაუხვდება საშინაო ალიანც არენაზე მეტოქეს, მაგრამ ტურინელებმაც გამოაჩინეს, რომ თუ „აფეთქდებიან", თამაში შეუძლიათ.

გოლები კი ასე გავიდა: 43-ე წუთზე დუგლას კოსტას პასის შემდეგ იუვეს მცველები დაიბნენ და ტომას მიულერმაც აუღელვებლად გაიტანა. 55-ე წუთზე ტურინელებს სწრაფი კონტრშეტევა გამოეპარათ, ლევანდოვსკიმ მარჯვენა ფლანგზე არიენ რობენი მოძებნა და ვეტერანმა ჰოლანდიელმაც გოლი ჩვეულ სტილში გაიტანა. არადა, მსოფლიოში უკვე ყველა მცველმა იცის, როგორ მოიქცევა რობენი, მაგრამ ხელის შეშლა ჯერ ვერავინ მოახერხა – არიენმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო, ცენტრისკენ შეიწია და ჯიჯი ბუფონს შორეულ კუთხეში მოუჭრა – 0:2.

შემდეგ მასპინძელთა ჯერი დადგა: კიმიხი საკუთარ საჯარიმოსთან შეცდა და ბურთი მარიო მანჯუკიჩს ჩააბარა, რომელმაც პაულო დიბალა მეკარეს შეატოვა და არგენტინელმაც ნოიერს მშვიდად გაუტანა. მეორე გოლისას ჯერ გამოცდილმა ფილიპ ლამმა ბურთი პოგბას ჩააბარა, რომელმაც შეტევა წამოიწყო, ხოლო საგოლე პასი ალვარო მორატამ თავით სტურაროს გაუკეთა, რომელმაც პოზიციურად აჯობა კიმიხს – 2:2.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – არიენ რობენი

მშვენივრად გამოიყურებოდა ჰოლანდიელი, რომელმაც ბევრი თავსატეხი გაუჩინა ტურინელთა დაცვას და მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავდა. გოლიც გაიტანა და საგოლე კომბინაციაშიც მიიღო მონაწილეობა.

**არსენალი – ბარსელონა 0:2**

0:1, 0:2 მესი (71, 84პ)

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## შედეგები

**23 თებერვალი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

იუვენტუსი-ბაიერნი ........................ 2:2
არსენალი-ბარსელონა ..................... 0:2

**ინგლისი. ჩემპიონშიპი**

ბირმინგემი-ბოლტონი ..................... 1:0
ბრენტფორდი-ვულვზი ...................... 3:0
ბრისტოლი-ბრაიტონი ...................... 0:4
ბარნლი-ნოტინგემი ........................ 1:0
იფსვიჩი-ჰალი ................................ 0:1
ლიდსი-ფულემი ............................... 1:1
მიდლსბრო-კარდიფი ....................... 3:1
მილტონი-ჰადერსფილდი ................. 1:1
პრესტონი-ჩარლტონი ..................... 2:1
უენსდი-ქპრ ................................... 1:1
რედინგი-როტერჰემი ...................... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# ინგლისელმა სახელად ორმაგი ჩისბურგერი ბეკონით დაირქვა



ინგლისის დედაქალაქ ლონდონის მცხოვრებმა სემ სმიტმა სახელი შეიცვალა და ოფიციალურად დაირქვა ორმაგი ჩისბურგერი ბეკონით.

ახალგაზრდას სახელის შეცვლის იდეა მისმა მეგობრებმა მიაწოდეს და პირველი, რაც მას აზრად მოუვიდა, საყვარელი კერძის სახელწოდება იყო, რომელიც რესტორან „ბურგერ კინგის" მენიუში შედის.

– ბურგერი ყველას უყვარს, განა ასე არ არის? – განაცხადა ახალგაზრდა ინგლისელმა.

– ეს ალბათ დიდი რაოდენობით ალკოჰოლის მიღებისა და სახელებზე საუბრის შედეგია, – განმარტა ჩისბურგერმა, – ასევე ძალზე სასაცილო იყო ის, რაც მოვიფიქრეთ. ჩემი მეგობრები კი ყოველთვის გვერდში მედგნენ, რაც არ უნდა სისულელე გამეკეთებინა.

ახალგაზრდის აზრით, მას გაუმართლა, რომ სამსახურში იუმორით დაჯილდოებული კოლეგები ჰყავს. თუმცა თავისი ორიგინალური ახალი სახელის გამო, მას გარკვეული პრობლემები შეექმნა მივლინებაში ყოფნისას სასტუმროს ნომრის დაჯავშნისას.

# ბერლუსკონი ვეგეტარიანელი ხდება



იტალიის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, პარტია „წინ იტალიას" ლიდერმა სილვიო ბერლუსკონიმ გადაწყვიტა, ხორცსა და მის პროდუქტებზე უარი თქვას. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი იტალიური გამოცემა ავრცელებს.

– მას შემდეგ, რაც მე წავიკითხე ცხოველების ტანჯვის შესახებ, რომლებსაც სასაკლაოზე მიერეკებიან, ხორცის ჭამის სურვილი გამიქრა. მის გარეშეც კარგად გავძლებ, – განაცხადა 79 წლის პოლიტიკოსმა.

ვეგეტარიანელად გახდომის გადაწყვეტილება ბერლუსკონიმ არც ისე დიდი ხნის წინ მიიღო. ხოლო საკუთარი განზრახვის სერიოზულობის დასადასტურებლად, მან რამდენიმე დღის წინ თავის მზარეულს, რომელიც მილანის მახლობლად მდებარე ვილაში ემსახურება, უბრძანა, რომ ხორციანი კერძები აღარ დაამზადოს.

–- საუბარია საოცარ ქმნილებებზე. როგორ შეიძლება მათი დახოცვა და ჭამა? – ამბობს ბერლუსკონი.

## სპორტი

# მანოლო იერო საფეხბურთო კლუბ საბურთალოს სპორტული დირექტორია



ქართულ ფეხბურთშიც ხდება სასიამოვნო ამბები – საფეხბურთო კლუბი საბურთალო, რომელმაც უმაღლეს ლიგაში 2015 წლის აგვისტოდან დამკვიდრდა, ახალ ეტაპზე გადადის.

კლუბის სპორტული დირექტორი გახდა ესპანელი სპეციალისტი მანოლო იერო, რომელიც ლეგენდარული ფეხბურთელის, ფერნანდო იეროს ძმაა.

მანოლო იეროს დაქვემდებარებაში ფაქტობრივად ყველა ასაკობრივი გუნდები იქნებიან.

ეს ყოველივე იმ საქმიანი ურთიერთობის შედეგია, რომელიც 2015 წლის ოქტომბერში შედგა – გემახსოვრებათ, რომ გასული წლის მიწურულს საფეხბურთო კლუბ საბურთალოს მოწვევით თბილისში ფერნანდო იერო იმყოფებოდა, რომელმაც ახლოს გაიცნო დედაქალაქური კლუბი, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეიტყო კლუბის მიზნები და ამოცანები.

მანოლო თბილისს 1 მარტს ესტუმრება და საქმიანობასაც შეუდგება. მოხდება ესპანელი სპეციალისტის წარდგენა და მასმედიის წარმომადგენლებისთვის გაიმართება პრესკონფერენცია.

# ტყუპმა დებმა ტყუპები მეორედ გააჩინეს



აშშ-ში ტყუპმა დებმა კერი ბუნკერმა და კელი უოლმა მეორედ გააჩინეს ტყუპები. ეს იუტას შტატის ქალაქ ორემში მოხდა.

პირველად კერი და კელი დედები რამდენიმე თვის განსხვავებით გახდნენ. ამჟამად მათი პირველი ტყუპი შვილები ოთხი და ხუთი წლის არიან. ბუნკერს ასევე ჰყავს ორი წლის ბავშვიც.

ახლა უკვე 36 წლის ამერიკელმა ტყუპებმა ბავშვები რამდენიმე კვირის განსხვავებით გააჩინეს, ამასთან ეს იმავე საავადმყოფოში მოხდა, რომელშიც ადრე იმშობიარეს. საავადმყოფოში განაცხადეს, რომ „ზოგიერთი ტყუპები" საკეისრო კვეთის შედეგად დაიბადნენ.

ბუნკერმა და კელი უოლმებმა განაცხადეს, რომ ისინი არა მხოლოდ დები არიან, არამედ საუკეთესო მეგობრები, მეზობლები და კოლეგებიც. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ცხრავე ბავშვს ერთად გაზრდიან.

# ბაიერნმა ტურინში მოგება ვერ შეინარჩუნა, მესიმ ჩეხს მეშვიდე მოარტყა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

**არსენალი:** ჩეხი, ბელერინი, მერტესაკერი, კოშელნი, მონრეალი, რემსი, კოკლენი (ფლამინი 82), ოქსლეიდ-ჩემბერლენი (უოლკოტი 50), იოზილი, სანჩესი, ჟირუ (უელბეკი 73)

**ბარსელონა:**ტერ შტეგენი, დანი ალვეში, პიკე, მასკერანო, ალბა, რაკიტიჩი, ბუსკეტსი, ინიესტა, მესი, სუარესი, ნეიმარი

ისევ ვერ დაარღვია არსენალმა უსიამოვნო ტრადიცია, რომლის თანახმად ლონდონური კლუბი მერვედფინალის პირველ მატჩს მუდმივად აგებს. არადა, დასაწყისი ისეთი იყო, რომ არსენალი უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონას ბურთის ფლობა 70% იყო, პირველი ტაიმი თანაბარი გამოდგა. მეორე ტაიმის დასაწყისიც არაფერს უქადდა ცუდს არსენ ვენგერის შეგირდებს. საგოლე მომენტებიც ჰქონდათ, მაგრამ...

კლასმა და ლეო მესიმ მაინც თავისი გაიტანა. მესი მეშვიდედ შეხვდა გუნდს, რომლის კარშიც პეტერ ჩეხი იდგა და პირველად გაუტანა ჩეხ მეკარეს.

პირველი გოლისას ლონდონელები შეტევაში გაერთნენ და კონტრშეტევა გამოეპარათ, ნეიმარმა მესი მოძებნა, რომელიც ჩეხთან პირისპირ დარჩა და ასეთ რამეს არგენტინელი არავის პატიობს – 0:1.

წინ გასული კატალონიელები დარჩენილ დროში უკვე თავად აკონტროლებდნენ თამაშს და მეორეც გაიტანეს. მატიე ფლამინიმ საჯარიმოში მესი წააქცია, პენალტი არგენტინელმა თავადვე დაარტყა და ახლა სასწაული უნდა მოხდეს, რომ ბარსელონა მეოთხედფინალში ვერ გავიდეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ლეო მესი

შვიდჯერ ესროლა მესიმ პეტერ ჩეხს და მეშვიდე გაუტანა. თანაც არგენტინელმა დუბლი შეასრულა და ფაქტობრივად გადაწყვიტა ორმატჩიანი დუელის ბედი. გოლები საჭიროა და მნიშვნელოვანი, მაგრამ მესი ისედაც ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა იყო მოედანზე.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# ბრიტანული ავიაციის ვეტერანი გარდაიცვალა



97 წლის ასაკში გარდაიცვალა ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული ბრიტანელი სამხედრო პილოტი, კაპიტანი ერიკ ბრაუნი.

ბრაუნი 1919 წელს დაიბადა ლეიტში. მან განათლება ფეტესკოლეჯსა და ედინბურგის უნივერსიტეტში მიიღო, სადაც შეისწავლა პილოტის საქმე.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბრაუნი გამანადგურებლებს მართავდა. თავისი ცხოვრების მანძილზე ის 487 სხვადასხვა ტიპის თვითმფრინავს მართავდა, რაც მსოფლიო რეკორდს წარმოადგენს და ასევე 2407 აფრენა განახორციელა ავიამზიდის გემბანიდან. გადაურჩა 11 ავია ავარიას.

1970 წელს ბრაუნმა სამეფო ფლოტში სამსახურს თავი დაანება და ბრიტანეთის შვეულმფრენთა საკონსულტაციო საბჭოს გენერალური დირექტორი გახდა, ხოლო 1982 წელს – სამეფო საავიაციო საზოგადოების პრეზიდენტი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## მალამო „მენტორი პირველის" გამოყენების წესი

**სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე, ეფექტური საუკეთესო სამკურნალო საშუალება.**

**მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტის, ართროზის, სახსრებში მარილების დაგროვების, პოდაგრის, ეფექტურია ფრჩხილების სოკოვანი დაავადების სამკურნალოდ, კოღოს ნაკბენის დროს. მაღალი ეფექტის მისაღებად მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ – დილას და საღამოს.**

**მობ. ტელ: 599-73-48-21**


# ასტროპროგნოზი
## 25 თებერვლისათვის



**ვერძი** – დღეს შეგიძლიათ თამამად განახორციელოთ ახალი იდეები. თქვენი ენერგიულობა და შემოქმედებითი პოტენციალი ხელმძღვანელობას შეუმჩნეველი არ დარჩება. **კურო** – მოსალოდნელია მსხვილი შენაძენი, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ – ფულს იოლად ნუ დახარჯავთ. სიახლეა სასიყვარულო ურთიერთობებში. **ტყუპები** – დღის პირველ ნახევარში წარმატებას მოგიტანთ ხელმძღვანელ პირებთან კონტაქტი, ასევე საქმიან პარტნიორებთან მოლაპარაკებები. კომერციული ოპერაციები სასურველ შედეგს გამოიღებს. **კირჩხიბი** – ჩანაფიქრი იოლად გისრულდებათ, თუმცა, ამავე დროს, შინაგან დაძაბულობას გრძნობთ, რაც ჯანმრთელობის მდგომარეობაზე უარყოფით გავლენას მოახდენს. **ლომი** – თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა წარმატების მიღწევაში მნიშვნელოვან როლს ითამაშებს. გელით კარიერული წინსვლა. **ქალწული** – სერიოზული დღეა, რომელიც უკავშირდება ფასეულობების გადაფასებას, სულიერების სრულყოფას, ასევე მიღებული ინფორმაციის საფუძვლიანად გადამოწმებას. **სასწორი** – დაძაბული დღეა. შესაძლოა, სამსახურში კონფლიქტი წარმოიშვას უფროსობასთან და კოლეგებთან. **ღრიანკალი** – გსურთ, ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანოთ, ოღონდ არ აჩქარდეთ. მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. **მშვილდოსანი** – ბედი გწყალობთ. გამახვილებული ინტუიციის მეშვეობით სწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. **თხის რქა** – შანსს ნუ გაუშვებთ, პირადი ცხოვრება უკეთესობისკენ შეცვალოთ. პრობლემების მოგვარებაში ახალი ნაცნობები დაგეხმარებიან. **მერწყული** – იაქტიურეთ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები წარმატებით დაგვირგვინდება. საღამოს საკუთარ თავს პატარა დღესასწაული მოუწყვეთ. **თევზები** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე კარგად დაფიქრდით.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ქალაქი იმერეთში; 2. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობას ადგენენ მტკიცების გზით; 3. მეუღლის ღალატი, მოტყუება; 4. ამერიკული ზებგერითი, სამხედრო-სადაზვერვო თვითმფრინავების სერია; 5. ფსიქიკური აშლილობის ერთ-ერთი ფორმა; 9. აღმოსავლურ საკრავებზე დამკვრელთა მცირე ჯგუფი; 10. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 14. პირველობა მეცნიერულ აღმოჩენაში, გამოგონებაში; 15. ქართველი მწერალ გიორგი ახვლედიანის ფსევდონიმი; 16. ნელი, ლირიკული ცეკვა ბალეტში; 19. ტბა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი.

**თარაზულად:** 6. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ბავშვი; 7. ბრიტანეთის საინფორმაციო სააგენტო; 8. გერმანული ფარმაცევტული ფირმა; 11. უნებლიე შეცდომა; 12. თბილისის მმართველი მე-8-12 საუკუნეებში; 13. მონარქიული სახელმწიფოს დროებითი მმართველი, მეფის მცირეწლოვნობის გამო; 17. ინგლისელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. პროვინცია ესპანეთში; 22. თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 23. გონებაჩლუნგობის, ჭკუასუსტობის უმაღლესი ხარისხი; 24. თურქეთის პრეზიდენტი; 25. დენის ძალის ან ძაბვის სარეგულაციო ხელსაწყო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კაროჟნა; 2. ფლიდი; 3. ხოდაბუნი; 4. გრეგორი; 5. ტონზილიტი; 9. ბატატი; 12. სუფრული; 14. ქორქია; 15. ევრო; 17. კონკა; 18. ჭკუა.

**თარაზულად**: 6. ფაველა; 7. კოლორადო; 8. მოპედი; 10. სოტბი; 11. ბადმინტონი; 13. ექსპერტი; 16. ბუზუკი; 19. კომუნიკე; 20. ნაფტუსია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ავტობუსი; 2. მონარქი; 3. ჭვავი; 4. ბარცინო; 5. კაქტუსი; 10. ბერგმანი; 11. სოციოლოგია; 12. პლანერი; 15. მარგალიტი; 16. ბრიუგე; 17. მენჩიკი; 20. მაცნე.

**თარაზულად**: 6. ღვინობისთვე; 7. ფარვანა; 8. პროლოგი; 9. მუთაქა; 13. ბიზე; 14. ჩოხელი; 18. ინტერნეტი; 19. გეიმი; 21. კასაი; 22. ბელგია; 23. სინდიკატი; 24. კლიასერი.

# ლიანა ისაკაძე: „მსოფლიოში, როგორც დირიჟორი, უფრო ვარ პოპულარული, ვიდრე მევიოლინე“



2016 წელს ლიანა ისაკაძე 70 წლის იუბილეს აღნიშნავს. იუბილე მთელი წლის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში კონცერტებით აღინიშნება.

მევიოლინე, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, ბევრს მოგზაურობს, მართავს კონცერტებს, ატარებს მასტერკლასებს ახალგაზრდა მუსიკოსებისთვის და საინტერესო შემოქმედებით საღამოებს აწყობს.

ლიანა ისაკაძე მსოფლიო პრესის სასურველი სტუმარია. ამჯერად ქართველმა მევიოლინემ ინტერვიუ „კლასიკალმიუზიკნიუს.რუ-“ს მისცა, სადაც მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპები გაიხსენა.

**ლიანა ისაკაძე:**

– პირველი ჩემი სიტყვა იყო არა დედა, არამედ ფრაზა „მე ვიმღერე“. სამი წლის ასაკში უკვე ვქმნიდი პატარა ნაწარმოებებს, თან ისე, რომ ნოტებიც კი არ ვიცოდი. დედა ყველაფერს იწერდა. 20 წლის შემდეგ მაჩვენა ეს ჩანაწერები და გავოცდი, როდესაც აღმოვაჩინე ბახის საფორტეპიანო პრელუდიის პატარა ნაწყვეტი. თურმე პატარაობისას ეს ნაწარმოები რადიოში მოვისმინე და ფორტეპიანოზე რომ დავუკარი, მეგონა ჩემი ნაწარმოები იყო.

მაშინვე გადაწყდა, რომ ფორტეპიანოზე დაკვრას ვისწავლიდი, მაგრამ მოხდა საინტერესო ფაქტი: ფორტეპიანოს გამოცდის დღეს ავად გავხდი და ვერ გავედი. ერთ კვირაში იწყებოდა გამოცდები ვიოლინოზე. მევიოლინე ლეო შიუკაშვილმა მომისმინა და თავის კლასში ამიყვანა.

ერთ წელიწადში სოლო კონცერტი ჩავატარე, ორი წლის შემდეგ კი ორკესტრთან ერთად დავუკარი.

***– თქვენ არა მარტო მევიოლინე, დირიჟორიც ხართ. ეს რაიმე ისტორიასთან არის დაკავშირებული?***

– როდესაც საქართველოს კამერულ ორკესტრს ჩავუდექი სათავეში და გარკვეული პერიოდის შემდეგ სამხატვრო ხელმძღვანელის სტატუსით ინგლოშტატში ჩავედით კონცერტით. ჩემს მუსიკოსებს ვუთხარი, ვიქნები თქვენი სამხატვრო ხელმძღვანელი, მაგრამ არასოდეს ვიდირიჟორებ-მეთქი. ისინი დამეთანხმნენ, მაგრამ მუშაობის პროცესში გამოიკვეთა, რომ ჩემი დირიჟორობა გარდაუვალი იყო და დავიწყე სპეციალური ლიტერატურის შესწავლა.

პირველ რეპეტიციაზე ორკესტრის წევრების გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. მათ დირიჟორად დაბადებული მიწოდეს. თბილისში კონცერტის დაწყებამდე მთელმა ორკესტრმა უარი განაცხადა სცენაზე გასვლაზე. მხოლოდ ჩემს დირიჟორის ამპლუაში გასვლას სცენაზე შეეძლო მათი გადაწყვეტილების შეცვლა.

მახსოვს, მაშინ მღელვარებისგან და ნერვიულობისგან ამიკანკალდა ყველაფერი, აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ეს იყო კატასტროფა! მაგრამ სხვა გზა არ მქონდა. ასეთი აკანკალებული გავედი სცენაზე მუსიკოსებთან ერთად და ვიდირიჟორე. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

მსოფლიოში, როგორც დირიჟორი, უფრო ვარ პოპულარული, ვიდრე მევიოლინე. აი, ასეთი საჩუქარი მაქვს ბედისგან.

დირიჟორის პროფესია ურთულესია. გერმანელმა მაესტრომ ბრუნო ვალტერმა ერთხელ თქვა: „დირიჟორის მთავარი ამოცანაა ორკესტრისთვის თავისუფლების მინიჭება.“ რა თქმა უნდა, ამაში ვეთანხმები მას, მაგრამ ამავე დროს საჭიროა შინაგანი კავშირი და ჰარმონია მუსიკოსებსა და დირიჟორს შორის. ამის გარეშე არაფერი გამოვა.

***– თქვენ საკმაოდ თანამედროვე ადამიანი ხართ. სოციალურ ქსელსაც აქტიურად იყენებთ. მოაქვს მას თქვენთვის რაიმე სარგებელი?***

– რა თქმა უნდა. ერთხელ შემომთავაზეს შემექმნა ჩემი გვერდი ფეისბუქში და იქ აღმოვაჩინე ჩემი ბევრი გენიალური მუსიკოსი მეგობრები. გარკვეული პერიოდის შემდეგ, გაჩნდა იდეა შემექმნა საერთაშორისო კამერული ფესტივალი და დამერქმია „ფეისბუქის ვირტუოზები“. ფეისბუქის ვირტუოზებმა მონაწილეობა მიიღეს ჩემ მიერ დაარსებულ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალში „ღამის სერენადები“, რომელიც ბათუმსა და თბილისში იმართება.

***– თქვენი აზრით, რატომ არიან მსოფლიოში ყველაზე პოპულარულები და წარმატებულები მამაკაცი მუსიკოსები, ვიდრე ქალბატონები?***

– იმიტომ, რომ ისინი კარიერის მოწყობას ესწრაფვიან, ეს მათი მთავარი მიზანია ცხოვრებაში. თუ სერიოზულად ვიტყვით, ისინი უფრო ჭკვიანები და ეშმაკები არიან, ჩვენ კი უფრო სუფთები და მიამიტები ვართ.

***– ცნობილია, რომ მუსიკის გარდა გიყვართ ცხენით ჯირითი და იდეალურად მართავთ ავტომობილს.***

– ვგიჟდები ცხენით ჯირითზე, გიტარაზე დაკვრაზე, მანქანით კი საათში 200 კილომეტრითაც მივქრი, როდესაც ჩემს აგარაკზე მივდივართ. საერთოდ მიყვარს გარისკვა. რისკი საჭიროა არა მარტო ცხოვრებაში, არამედ მუსიკაშიც.

სცენაზე კარგ გამოსვლას შთაგონება სჭირდება და თუ ეს გაქვს, მაშინ ნებისმიერი ლაფსუსი, არასწორად აღებული ნოტი ან თუნდაც ტექნიკური შეცდომა მეასეხარისხოვანია.

***– თქვენ ჩაატარეთ მასტერკლასები ალმაატელი სტუდენტებისთვის, რას იტყვით მათ შესახებ?***

– ყაზახი სტუდენტები ძალიან ნიჭიერები არიან. ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა მათი შესრულებით იმ ნაწარმოებების მოსმენა, რომლებსაც ერთ დროს თავად ვუკრავდი.

ძალიან შემიყვარდა ეს ქალაქი, ხალხი, რომლებსაც შენარჩუნებული აქვს სულიერი სისუფთავე, რაც დღეს მსოფლიოში ძნელი საპოვნელია. საერთოდ, ძალიან მიყვარს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ხალხი. მათში არის ჭეშმარიტება, სულიერება და ღმერთი.

# ჯემალ სეფიაშვილი იუბილარია



კომპოზიტორი და არაერთი ჰიტის ავტორი ჯემალ სეფიაშვილი იუბილარია. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, კომპოზიტორმა დიდ საკონცერტო დარბაზში შემოქმედებითი საღამო გამართა და ეს კონცერტი საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს მიუძღვნა.

მუსიკა მომავალ კომპოზიტორს ბავშვობიდან იტაცებდა. დედა კარგად უკრავდა ფორტეპიანოზე და მღეროდა. სკოლაში სწავლისას ის აქტიურად მონაწილეობდა მოსწავლეთა თვითშემოქმედების დათვალიერებებში, ორჯერ ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელიც გახდა.

მისი მუსიკალური კარიერა ანსამბლში „მელოდია“ დაიწყო, სადაც პირველი სიმღერა „სიყვარულის სანთლები“ ცირა კაკაბაძის ლექსზე შექმნა, რომელიც კვარტეტმა „თბილისმა“ შეასრულა. ეს კომპოზიცია საუკეთესო სიმღერად აღიარეს და დღემდე ერთ-ერთ გამორჩეულ სიმღერად რჩება კომპოზიტორის შემოქმედებაში.

საუკეთესო სიმღერად დასახელდა ჯემალ სეფიაშვილის „დაშვებული ფარდებიც“. ირმა სოხაძის სოლო-კონცერტზე კომპოზიტორის 12 სიმღერა შესრულდა, რაც საზოგადოებამ სერიოზულ სამომავლო განაცხადად აღიქვა.

იუბილარი კომპოზიტორის სავიზიტო ბარათად არის აღიარებული 9 აპრილის მოვლენებისადმი მიძღვნილი სიმღერა „ვაჩუქოთ ერთმანეთს ტიტები“, რომლის ჩაწერაშიც ქართული ესტრადის ვარსკვლავებმა მიიღეს მონაწილეობა. ეს სიმღერა, რომლის ჩაწერაშიც ყველა თაობის 62 ცნობილი მომღერალი მონაწილეობდა, სიყვარულისა და სამშობლოსადმი ერთგულების ჰიმნად იქცა.

ჯემალ სეფიაშვილის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში კომპოზიტორის საიუბილეო შემოქმედებითი საღამო „ბრავო, მაესტრო!“ გაიმართა და ამავე სახელწოდების ორმაგი ალბომი გამოიცა

# რუსთაველის თეატრში „ქიმერიონი“ ბრუნდება



რუსთაველის თეატრში ათეული წლების წინ გახსნილი რესტორანი „ქიმერიონი“ ბრუნდება. ინფორმაციას რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი რობერტ სტურუა სოციალურ ქსელში ავრცელებს.

რობერტ სტურუა:

– ყველას! ყველას! ყველამ წაიკითხოს! თორემ წაგშლით! რამდენს გაეხარდება, მით უმეტეს, ჩხარტო ლაშარაშვილს (იგულისხმება თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი – ავტორი).

რუსთაველის თეატრის გახსნისთანავე, XX საუკუნის დასაწყისში, იქ, სადაც, ძვირფასო მაყურებელო, ამჟამად ზამთარში თბილ ქურქს, არ შეგეშინდეთ! ან პალტოს აბარებთ, ცნობილი რესტორანი იყო, ნუ აღშფოთებდით, მე მგონი დამოუკიდებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ...

„ქიმერიონი“ – ასე ერქვა ამ რესტორანს. არაჩვეულებრივი მხატვრების ფრესკებით მორთული მოსე თოიძის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, სერგეი სუდეიკინის, თბილისის ბოჰემის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქართველომ დიდი ხნის შემდეგ თავისუფლების გემო იგრძნო. კამერული კონცერტები, პოეტების საღამოები, პოლიტიკური კაბარე, რას არ ნახავდი და მოისმენდი აქ.

და აი, რაზეც დიდი ხანია ვოცნებობთ, მგონი ფრთებს ისხამს, თუ გამწარებულმა პოლიტიკოსებმა და ხელოვნების „მცოდნეებმა“ ხელი არ შეგვიშალეს. გვინდა დავაბრუნოთ ეს ძვირფასი ტრადიცია და არტისტულ კაფესთან ერთად შევქმნათ თავისებური კულტურული ცენტრი.

ახალგაზრდა მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები თავის ნაწარმოებს გააცნობენ მაყურებელს, გამოფენები, კონცერტები, დისკუსიები და ა.შ.

აგრეთვე გვინდა ქართველი ბავშვები ხელოვნებას ვაზიაროთ. ყველას ახსოვს, ჯანო კახიძე რომ უტარებდა პატარებს მუსიკის გაკვეთილებს. ახლა რა გვინდა თქვენგან ფეისმეგობრებო, წაიკითხეთ და სხვას გადაეცით!

ცხადდება კონკურსი ამ მომავალი ცენტრის დიზაინის ჩანაფიქრზე, ლოგოტიპი, შრიფტი, ინტერიერი, საერთოდ ყველაფერზე, რაც ვიზუალურ მხარეს ეხება და რაც 116 წლის, მსოფლიოში სახელმოხვეჭილ რუსთაველის პროფესიულ, კულტურის სამინისტრომ ეს ტერმინი „პროფესიული“ ღმერთმა იცის რომელ ტვინის უჯრებში ამოქექა, წარმოგიდგენიათ „საფრანგეთის პროფესიული თეატრი კომედი ფრანსეზ“?! როგორია? თეატრს ეკადრება.

# ბოლივუდის მსახიობი საქართველოს სტუმრობს



ბოლივუდის მსახიობი გაურავ ჩოპრა საქართველოს სტუმრობს. ქართველი საზოგადოების ნაწილი მას სერიალიდან „ორი ბედი“ იცნობს, სადაც ის „მისტერ რათხოდის“ როლს ასრულებს.

მსახიობის მასპინძელია „სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად“. ბოლივუდის ვარსკვლავმა თავისი გასტროლი საქართველოში თელავიდან დაიწყო, მორიგი გაჩერება ქუთაისია:

– ძალიან მაგარი კაცი მყავს სტუმრად ქუთაისში. ინდოელი მსახიობი გაურავ ჩოპრა. ტელე „იმედის“ სერიალიდან რათხოდი „ორი ბედი“. მსურველებს ხვალ, დღის მეორე ნახევარში შეგახვედრებთ ქუთაისის ბულვარში. მოდით და გადავიღოთ სელფები, – დაწერა ფეისბუქში დათო ლიკლიკაძემ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სპორტი

# შოთა არველაძე შესაძლოა ბერძნული პაოკის მწვრთნელი გახდეს



რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა, რომ შოთა არველაძემ საქართველოს ნაკრების გაწვრთნაზე უარი თქვა.

ბევრს ეცადნენ ჟურნალისტები, მაგრამ შოთას უარის მიზეზი მაინც ვერ ათქმევინეს. თურქეთიდან წამოსვლის შემდეგ არველაძე არცერთი გუნდის მწვრთნელი არ არის, თუმცა შესაძლოა ის ბერძნულ პაოკში ვიხილოთ.

არველაძის თქმით, პაოკი მისით დაინტერესებულია და უახლოეს დღეებში მასთან შეხვედრაც ექნება, რომლის დროსაც ბევრი რამ გახდება ცნობილი.

შოთა არველაძეს ბოლო გუნდი თურქული ტრაბზონსპორი იყო, სადაც შოთას ჯერ კიდევ ფეხბურთელობის პერიოდიდან კარგად იცნობენ.

# როჯერ ფედერერმა ტრავმა მოიშუშა



ლეგენდარულმა შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა როჯერ ფედერერმა მუხლის ოპერაციის შემდეგ ვარჯიში გაანახლა.

ფედერერს ოპერაცია ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ დასჭირდა და ტრავმის გამო როჯერმა რამდენიმე ტურნირიც გამოტოვა.

რამდენიმე დღის წინ ჩოგბურთელმა თავისი ფეისბუქის გვერდზე დაწერა, რომ ისევ სრული დატვირთვით ვარჯიშობს და ამით ძალიან ბედნიერია.

სავარაუდოდ, ფედერერი კორტებს 7 მარტს დაუბრუნდება, როდესაც ინდიან ველსის მასტერსი აიღებს სტარტს. აღსანიშნავია, რომ როჯერს ეს ტურნირი ოთხჯერ აქვს მოგებული.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი და მეცნიერი, ქალბატონი

**მარიკა კალანდაძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მთაწმინდის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის, ზაირა ზურაბაშვილის შვილის

**ანდრო ტუხაშვილის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## ხუთშაბათი 25 თებერვალი

06.30 მუსიკა 07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 01.50 "მოამბე" 07.05, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00 "დ/ფ "თოფგიარი" 12.30 "ტრანსმისია" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნების თარო" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის საკვების ძიება საფრანგეთში" პირენეები" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ. "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "ინტერვიუ" – სალომე ასათიანთან ერთად 21.00 თოქ-შოუ: "რეალური სივრცე 22.00 დ/ფ "თოფგიარი" 23.00 ტ/სერ. "**დაუნტონის სააბატო**" 23.59 "კომუნიკატორი" 00.00 კონცერტი: ირაკლი ჩარკვიანი – "ისტორიას დარჩება" 02.00 მხ/ფ "**დანტეს პიკი**"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 11.00 დ/ფ "ევროპის შუაგულში" 13.00 დ/ფ "ვენჯოუს ფირმის ფეხსაცმელი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 10.05 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 00.00 მხ/ფ "**ხელშეუხებელნი**" 02.20 მხ/ფ "**გაქცევა**" 04.20 ერთხელ საქართველოში 04.40 მხ/ფ "**მეცხრე ლეგიონი**"

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 22.00 პროფილი 00.00P.S.01.00, 03.30 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS

8.30, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები. 9.00, 15.30 Discovery ფილმების მეცნიერება 10.00, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.00, 22.00 მზარეულები 11.30 შუადღე 14.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ცენტრი**" 16.30 აირჩიე კაბა 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.00 ცოლები და ქმრები 20.30 20.30 22.30 ბინა 18 23.30 მხ/ფ "**კარგი ბიჭები**" 2.05ID Extra სასჯელს თითქმის გავექეცი

06.10 სიმღერის კვალდაკვალ 06.40 პატერიკი 06.50 სჯანი 06.20 ქართული ალბომი 06.50 მოკ. მხ/ფ "**აპრილი**" 06.45 მუს. პაუზა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ერთსულოვნების სალონი 11.30 ეპოქის სახელები 12.10 დ/ფ "ულმერთოთა ღამე" 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "თეთრყვავილა" 15.05 ივერიის ეკლესია 15.20 ქართული ან/ფ 15.40 დ/ფ "პლანეტა დედამიწა-მთები " 16.40 ჩვენი ფონდი 17.10 დ/ფ "გაფითრებული თებერვლის ლანდი-მარო მაყაშვილი" 17.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო-ეკლესიის არსი და მისი დაფუძნება 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 პორტრეტები 20.00 დ/ფ "ბრძოლა დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად" 20.40 ძილი ნებისა "სოლომონ ბერი და ბერიკაცი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ივერის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული 21.30 ლექციები მეფუტკრეობაზე 21.40 ფსალმუნის განმარტება 21.45 განთიადის სიუჟეტი "ოკუპაციის მუზეუმი" 22.00 სიახლენი 22.25 დოკ. ფილმი "სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 დ/ფ 01.25 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 გადაცემა "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.30 დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" 14.05, 15.30, 16.05, 17.05, 1.00 სერ. "**კარმელიტა** 15.00 "კონტაქტი სამზე" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05, 2.30 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**ფროიდის მეთოდი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

25 თებერვლისთვის

- აშშ დოლარი — 2.4801
- ევრო — 2.7445
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5153
- 100 რუსული რუბლი — 3.269

**ამინდის პროგნოზი 25 თებერვლისთვის**




კალეიდოსკოპი

## ვენა კვლავაც მსოფლიოს საუკეთესო ქალაქია



ავსტრიის დედაქალაქი ვენა კვლავ დასახელდა მსოფლიოს საუკეთესო ქალაქად. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

როგორც გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, მსოფლიოს ყველა ქალაქს შორის ვენაში ცხოვრების დონე ყველაზე მაღალია. ამავე დროს ერაყის დედაქალაქი ბაღდადი რეიტინგში ისევ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

აღნიშნული რეიტინგი ეყრდნობა ათეულობით კრიტერიუმს, ისეთს, როგორიცაა პოლიტიკური სტაბილურობა, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, დანაშაულის დონე, დასვენების ორგანიზება და სატრანსპორტო პირობები. აღსანიშნავია, რომ ვენაში იჯარის გადასახადი და საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობა გაცილებით იაფია, ვიდრე სხვა მოწინავე ქვეყნების დედაქალაქებში.

რეიტინგში ვენას შემდეგ შემდეგი ქალაქები მოდიან: ციურიხი, ოკლენდი, მიუნხენი და ვანკუვერი.

## ზოოპარკის დამთვალიერებლებმა ფარშევანგები იმსხვერპლეს



ჩინეთის ერთ-ერთი ზოოპარკის დამთვალიერებლებმა ორი ფარშევანგი ისე დატანჯეს მათთან სამახსოვრო სურათების გადაღებით, რომ ფრინველები შოკში ჩავარდნენ და დაიღუპნენ.

ფარშევანგები სამი დღის ინტერვალით დაიღუპნენ. ზოოპარკის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, პირველი ფარშევანგი შიშისა და მტკივნეული შოკისგან მას შემდეგ დაიღუპა, როდესაც ტურისტების ბრბომ ის ალყაში მოაქცია, ერთმანეთს ნივთივით გადასცემდნენ, კუდიდან ბუმბულებს აგლეჯდნენ და სურათებს იღებდნენ.

ამის შემდეგ ზოოპარკის ხელმძღვანელობამ მოამზადა განცხადება, რომელშიც ტურისტების ქმედება დაგმო. ამის მიუხედავად რამდენიმე დღეში ოთხმა დამთვალიერებელმა სიკვდილამდე მიიყვანეს მეორე ფარშევანგი.

მიუხედავად იმისა, რომ ზოოპარკის ადმინისტრაციამ ფრინველების დაღუპვის უმთავრეს მიზეზად შოკი დაასახელა, სამართალდამცავები მაინც ჩაატარებენ მომხდარის დამატებით გამოძიებას.

## მსოფლიოში ყველაზე დიდი საკრუიზო ლაინერი შენდება




ახლახან გავრცელდა მსოფლიოში ყველაზე დიდი მშენებარე საკრუიზო ლაინერის ახალი ფოტოსურათები, რომლის აგებაც საფრანგეთის ქალაქ სენ-ნაზერში მიმდინარეობს. საუბარია ხომალდ ჰარმონი ოფ დი სეა-ზე, რომელიც კომპანია როიალ კარიბს ინტერნეიშენელს ეკუთვნის.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, საზღვაო ლაინერზე განთავსებას შეძლებს თითქმის 6,3 ათასი მგზავრი და დაახლოებით 2,4 ათასი ეკიპაჟის წევრი. ინფორმაციაში ასევე საუბარია იმაზე, რომ ხომალდი 33 სანტიმეტრით გრძელი იქნება ამჟამად მოქმედ ყველაზე დიდ ლაინერებზე და ასევე მათზე გაცილებით განიერიც.

ხომალდის სამშენებლო სამუშაოები სამ თვეში უნდა დასრულდეს. 20 მაისს გემი ბრიტანეთის პორტ საუთჰემპტონში ჩავა, ხოლო 29 მაისს თავის პირველ რეისში გავა ბარსელონასკენ. ხმელთაშუა ზღვაში გატარებული ზაფხულის შემდეგ საკრუიზო ლაინერი გეზს აშშ-სა და კარიბისკენ აიღებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

23 თებერვლიდან
გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად
გაბრიელ გარსია მარკესი
იცხოვრო, რომ მოჰყვე
წიგნი, რომელსაც ათწლეულები ელოდნენ




ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი

## ესპანეთის თასის ფინალი ვისენტე კალდერონზე გაიმართება



ესპანეთის თასის ფინალს მადრიდი უმასპინძლებს, ოღონდ არა სანტიაგო ბერნაბეუ, არამედ ვისენტე კალდერონი.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო რამდენიმე დღის წინ ესპანეთის საფეხბურთო ფედერაციამ.

თასის ფინალში ერთმანეთს ბარსელონა და სევილია დაუპირისპირდებიან და კატალონიურ გრანდს დიდი სურვილი ჰქონდა, რომ ეს შეხვედრა მადრიდის რეალის სტადიონზე, სანტიაგო ბერნაბეუზე გამართულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ბარსელონამ აქამდე ოთხჯერ ითამაშა თასის ფინალი ვისენტე კალდერონზე და აქედან ორჯერ დამარცხდა.

სევილიასთვის ამ სტადიონზე ეს პირველი ფინალი იქნება.

ბარსელონა და სევილია ურთიერთობას კვირას, 22 მაისს გაარკვევენ.

## ფრანჩესკო ტოტი მეტ პატივისცემას ითხოვს



რომას ლეგენდა ფრანჩესკო ტოტი უკმაყოფილოა მუდმივად სათადარიგოთა სკამზე ყოფნით და მეტ პატივისცემას მოითხოვს.

ამის შესახებ ტოტიმ ხმამაღლა განაცხადა, რამაც რომას მწვრთნელი ლუჩიანო სპალეტი ძალიან გააბრაზა და ფრანჩესკო პალერმოსთან თამაშში განაცხადშიც ვერ მოხვდა.

როგორც ჩანს, ტოტის არ სურს კარიერის დასრულება, სპალეტი კი მასზე იმედებს არ ამყარებს.

ჯერჯერობით უცნობია, როგორ მოგვარდება ეს ამბავი, ჯერჯერობით მხოლოდ ის არის ნათელი, რომ არცერთი მხარე დათმობას არ აპირებს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი



თანასოფლელი ქალს ეკითხება:
– შენი ქმარი სახლშია?
– არა, ქალაქში წავიდა.
– მამცემ?
– რააა??? გაგიჟდი, ბიჭო?!
– რათა, ქალო, ლამაზი ხარ, ნაზუქივით, კაცი გულგრილი ვერ ჩაგივლის, ეგეთი გულქვა უნდა იყო?!
– ააა, შენა ისაა... მე მეგონა, ჭაჭას მთხოვდი...

•••

მამაკაცს შარდის შეკავება დაემართა და ოჯახის წევრებმა რაიონულ საავადმყოფოში მიიყვანეს. ახალგაზრდა ექთანი კათეტერს უკეთებს და თან ეკითხება:
– რა გქვია, ბიძია?
– დიმიტრი!
– შვილები გყავს?
– აბა რა, სამი ვაჟკაცი: ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი.
– უიიი, ამ გაჭირვებულით გააკეთე აი ვეფხისტყაოსანის გმირები?...

•••

ოსი ექიმს ეუბნება:
– სენი წილიმე ექიმო, ფეხები მტლად გამიშავდა და მეფხანება...
– წადი სახლში და კარგად დაიბანე.
სამი საათის შემდეგ ოსი ურეკავს:
– ექიმო, ის ვალ, ფეხები ლომ მტკიოდა...
– რა ქენი, დაიბანე?
– სასწაულია მედიცინა, ექიმო, სასწაული.

***

მასწავლებელი კლასში შესვლისთანავე მოსწავლეს იძახებს:
– ბიკაშვილი, დაფასთან!
– მასწავლებელო, ჯერ სია ამოგეკითხა, იქნება და აქ არ ვარ?!

•••

ერთი მხატვარი მეორეს ეკითხება:
– კვერცხების მოხატვა თუ გიცდიათ, კოლეგავ?
– კი, ერთხელ ვცადე, მაგრამ არაფერი გამომივიდა.
– რატომ კოლეგავ?
– მომელღუტუნა და შევეშვი.

•••

მაღაზიაში შესული მამაკაცი გამყიდველს ეუბნება:
– აი ის მომეცი, ტყუპების ქუდი!
– ეგ ქუდი კი არა, ლიფია!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## კროსვორდი




**შვეულად:** 1. ქსოვილი, რომლის ერთი პირი გაჟღენთილია წყალშეუვალი ნივთიერებით; 2. ხეობა სტეფანწმინდას რაიონში; 3. მთავრობის მეთაური გერმანიაში; 4. ბრიტანეთის ნაწილი; 5. ძველებური ქალაქური ცეკვა; 9. მუსიკალური ნაწარმოები; 12. პოლიტიკური ან ეკონომიკური ბრძოლის მეთოდი, ურთიერთობის სრული ან ნაწილობრივი განწყვეტა; 14. ქერცლფრთიანთა ოჯახის მწერი; 15. რძის პროდუქტი; 17. სვლის მიმართულება; 18. მუსლიმანთა სამლოცველო.

**თარაზულად:** 6. თაღლითი ბანქოს თამაშში; 7. ჩქარტემპიანი კუბური ცეკვა; 8. ორსახოვანი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 10. მთავარი ქუჩა ტოკიოში; 11. იტალიელი პოლიციელი; 13. მოწინააღმდეგე კამათში; 16. აქლემის ნაშიერი; 19. თანამედროვე, მრავალადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი; 20. ვირტუოზი ესპანელი მევიოლინე მამაკაცი.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი